

899.962.1(65)  
8-40  
BIBLIOTHEQUE NATIONALE DE LA REPUBLIQUE FEDERATIVE DU BRESIL  
LIBRARY OF THE FEDERATIVE REPUBLIC OF BRAZIL



საუმარტვილო ნახატებიანი  
ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეკილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ღ. ღ.

№ IX

915  
1114

სექტემბერი, 1907

© ფელიციალი გეთახავეთი

ტ ფ ი ლ ი ს ი

კლექტურომბეჭდავი ამს. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65  
1907



ხედავთ ამ სურათს, ჩემო პატარა მკითხველებო? კარგად ჩააკვირდით, ჩაიბეჭდეთ თქვენ პატარა გულში და ძეხსიერებაში ეს მშვენიერი და ბრწყინვალე სახე ქართველთათვის ღიდებულის პოეტისა, ეს სახეა იმ ილა ჭავჭავაძისა, ომელიც 30 მარიამობისთვეს ავა ზაკებმა მოჰკლეს, ტევით და მახუილით გაუქეს მაღალი შუბლი და ის მტკიცე, ქართველთა მოსიევა რულე და ძვირფასი გული, ომელიც მთელი ორმოცდა ათი წელი მსოლოთ ქართველთა ბედნიერებისთვის სცემდა. ილამ დასწერა აუარებელი ლუქსათ

და პროზათ წიგნები, ილია იუო გასაოცარი მჭერმეული მოვალეობის მიერთ და თავისის სიტყვით და კალმით ქართულ ულველ საჭმეს წინამმღრობდა და აი მთელი საქართველო მგლოვობს და თავს დასტირის.

არ არის ერთი ქალაქი, დაბა, სოფელი, მივარდნილი შორეული კუთხე საქართველოსი, საიდანაც არ მოეცათ გლოვის ბანი საერთო ქართველთა გორებაში. ათასი სამგლოვიარო დეპარტამენტი მოვიდა უოგულის კუთხიდან, ათასი მშვენიერი, მვიონასი უებგილების გვირგვინი ილიას კუბოს შესამკობათ, ათასი შეგნებული და განათლებული მოვიდა ჩეენ დედა ქალაქ თბილისს ილიას მცხედრის თაუვანის საცემლათ, იმისი კურთხეულის მარჯვენის სამთხვევლათ. ათასი მწარე, გულადამწვი და აღმფრთოვანებული სიტყვა წარმოითქვა ილიას საფლავზედ. მთელი ქალაქი და ქართველობა შავებით შეიმოსა და მვიონას განსვენებულს იავარდთან არეული ცხარე ცრემლი დააფრქვია.

ამ სადა კაცს, ამ უბრალო მოქალაქეს ღვთაებურივი თაუენი სცა და მეფეური დიდებით და სიმდიდრით დაასაფლავ წმინდა დავითის ეკლესიის გალავანში.

მღვდელი, ერი, დიდი, პატარა, გლეხი თუ თავადი, მუქა თუ ვაჟარი ერთგვარის მოწიწებით, ერთა გვარის თაუენებით იდრეკს მუხლს ილიას საფლავის წინ და აღმფოთებით ჭვემობს ილიას ჯალათის სახელს. წევული იეოს, წევული, შეჩვენებული ის ავა-

ზაკი, მხექი კაცი, გინვ მოუსმო სიცოცხლე 70 წლის  
მოხუცს, ვინც მოსმო სიცოცხლე ჩვენის მხევლის,  
ღვთისაგან კურთხეულის მგასნის ილიასი!

მოვა დრო-გაზღდებით, ჩემო მვირფასნო, ჟეჟა  
გაგიმაგრდებათ, შეისწავლით, შეიგნებთ ილიას ნა-  
ღვაწს-ნაწერსა და მაშინ მის დიდებას და თავვანის  
ცემას თქვენი დიდება და თავვანებაც მიემატება და  
ასე ეს მვირფასი სული საუკუნებიდგან საუკუნომდე  
ქართველთა შთამოებას გადაეცემა.

„მოვა დრო, გაიზღდებით,  
კლავი გაგიმაგრდებათ,  
შვილო, ყრმობის სიზმრები  
ბრძოლაზედ გაგეცვლებათ.  
ნახავთ ჩვენ ბედშავობას,  
ჩვენს ერთობას დაკარგულს,  
ჩვენსა წამხდარს გმირობას  
და მამულს დაობლებულს!

აინთეთ ცეცხლით გული,  
მტერსა დაეცით მეხად,  
ან, ვით შვილი ერთგული,  
დააკვდი მამულს მსხვერპლად!

მაშინ დიდი ქართველი მამა ილია, თავის სანა-  
ტოელ ქართველ დედასთან ერთად ნუგეშ იცემს:

რომ მისგნით სიტყვა თქმული  
შენ საქმეთ აღუსრულე.

ეპ. გაბაშვილისა.



## ჯირკი და ნახშირი.

(ფრანგულიდან)



უხრის შუაგულში, ზამთარში, ერთი პატარა ნედლი ჯირკი შარქულებით რწყაბდა ნაცარს, ღრმათ ოხრავდა და სახარლათ, გულსაკლავთ ჰქვნებოდა.

ერთმა ნახშირმა, რომელიც დაღალულიერ ამდენი თხვრის და კვნესის სმენით, ვეღარ მოითმინა და ბოლოს ჰქითხა, „რას სმაურობ“—ო.

— „ერთი შემომხედვე, როგორ ვიტანჯები, აბა როგორ არ ვიხმაურო“—ო! — მისუსტებული სმით უპასუხა ჯირკმა.

— „შენი ცრემლები მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ დღეს პირველათ იტანჯები“—ო! — წენარათ მიუგო ნახშირმა. — „მე კი... მე იმდენი ტანჯვა ამიტანია ჩემ სიცოცხლეში, რომ ტირილი აღარ შემილია“—ო.

ელ. წერეთელი.

## ებ ჰაწია გულიც იტანჯება!



ადირობიდან ხელ ცარიელი ვბრუნდებოდი. გულ ნატკენი აქედ იქმით გავიურებოდი, იქნება რამე ნადირი შემსვედოდა.

უცხათ დავინასე რამდენიმე მოთარეშეუვავი. ბალას დასტრიალებდენ და საძაგლათ ჩხაოდენ: სან მაღლა აფრინდებოდენ და სან მირს დაქშებოდენ.



მიუახლოვდი, და რას ვხედავ! უვავები დასცემოდენ დედა-ურდღელს. ის უკანა თათებით ჩაცუცქნულივ და წინა თათებით იგერებდა მტერს. თვალე-

ბიდან სიბრაზით ცეცხლი სცვიოდა, უურები გზდებენ,  
კბილებს აკრაჭუნებდა.

დავაცეკრდი და გავარჩიე, ოომ მას ფეხებ ქვეშ,  
ბალაზე, მისი ბაჭიები ეჟარენ. ესენი შიშით ერთმა-  
ნეთს ეკვროდენ.

შეგშინდი, შემებრალა ღედა-კურდღელი.. მათ გა-  
დასარჩენათ უცებ ჭარში გავისროლე თოვი. ერთ  
წამს მსუნავი უვავები განიფანტენ. ღედა კურდღელი  
თოვის ხმაზე დაეცა ძირს და გადაეფარა შვილებს.

ოომ მეტათ არ შემეშინებინა საცოდავი ღედა მი-  
ვიმალე ბალაზებში.

შატარა ხანს შემდეგ ღედა კურდღელი მოვიდა  
გონზე, მიიხედ მოიხედა და საჩქაროთ წაასხა მა-  
ხლობელ ტექში თავისი ბაჭიები.

— ეს მარტია გულიც იტანჯება შვილებისთვის და  
სიცოცხლეს არ ზოგავს მათთვის, გავიფიქრე მე და  
ამ დღიდან კურდღლის საცოდავობით სამუდამოთ ნა-  
დირობას თავი მივანებე.

ანიკო.

(რუსულიდან)



რასაც დასთეს, იმას მომენ.

(რუსულიდან)

ცხენი თბილ საჯინიბოში იდგა და გემ-  
რიელ ქერს შემძევოდა ერთბაშათ საჯინიბო-  
ში ბეღურა შეფრინდა. საბრალო მშიერი იუო.  
არე-მარეს თოვლი გადაჭიარებოდა და მარ-  
ცებლი არსად არ მოიპოვებოდა. ბეღურა ბა-  
გას ნაპირას მოუჯდა, ცხენმა ერთი შეხედა  
და ადირლი დაუთმო. ჩიტმა მარცეალს კენკა  
დაუწეო. ამ გვარათ ცხენი მთელი ზამთრის  
განმავლობაში ბეღურას ჰქვებავდა.

ბეღურამაც სამაგიერო გადაუხადა. რო-  
დესაც დადგა ზაფხული, დიდ მალი ბუჩქი და  
ჭია-ღუები გაჩნდა საჯინიბოში და საწელ  
ცხენს მოსვენებას არ აძლევდენ; ისე ჰქვენ-  
დენ, რომ სისხლი ღვარივით სდიოდა. ბე-  
ღურამ შეამჩნა და სმაურობით საჯინიბეში შეფრინ-  
და, მივარდა ბუზებს — ზოგი გაანადგურა, ზოგი შეა-  
შინა და გააგდო.

ტასო.

# ଓହନ୍ତିରେ



ათა მცემ, შე უდმერთოვ, რა და-  
მიშავებია შენთვის? ხომ ხედავ, მეც  
ჰოქვენთან ვიზრდები, ჯერ ხომ სამი  
თვისაც არა ვარ!

— ჭურორ! ჭურორ! ჩხაოდა გულ გახეთქილი კაჭ-  
კაჭი ნატო და თან შიშისგან თვითონაც მაღაუნებუ-  
რად ჰეპენდა თავის შემწუხებელ გარიასა.

— მკბენ კიდეც, შე სასიკვდილე შენა?! გაგუ-  
ლისდა და უფრო გაცხარდა სადედლე გარია და უფ-  
რო ცხარედ ჩასცხო და ჩასცხო კაჭაზეა.

— ნუ მკლავ, შე უსამართლოვ, რა დაგიძავე?!

ევედრებოდა კაჭკაჭი, თან შიშათ ჩხაოდა, რაც ძალი  
და ღონე ჰქონდა.

— რა დაგიძავეთ?! რა დაუშავეს შენმა დედამ,  
მამამ, დედამ, ბიძამ, პაპამ, ბებიამ, დებძა, მმებმა,  
ნათესავებმა, მთელმა თქვენმა გვარმა ჩემს მმებს, დებს,  
დედ-მამას, ბიძა-ბიძაშვილებს, მთელს ქაომისა და ის-  
ვის გვარსა. ცოტა წიწილები და ჭუკიები გამოწიწ-  
ქნეს? თქვენ არ გაჰქოვდნენ? მაგ თქვენს სამიწე ღორ-  
მულებს არ აძლობდნენ ჩვენი ქორფა წიწილების  
ხორცითა? რისგან მოხდა, რომ თქვენ მაგრე სუფ-

თბდ და კოტტიად დაჭვორინავთ და თთო ადლ ბო-  
 ლოს დაათრევთ, ჩვენ კი ბოლო დაგლევილები, აბუ-  
 ზულ-გატტიწენილები დაგდივართ? აგრც არ გვაკმარეთ  
 და ახლა აქაც მობმანდი და სათონე-საკუჭნაოში და-  
 ურილ ნამცენებსაც გვმცილები?! თუ არ მოგპალი, არ  
 იქნება, შე გვარ გასათხელებელო!

და სანამ ჩატრონი მიემჟელებოდა, ურტყამდა და  
 ურტყამდა საკვერცხედ მოჩრისული ჭროლ-ჭროლა ქო-  
 ხორა გარია ნატო კაჭკაჭსა.

ნატო კაჭკაჭი კი ჩხაოდა და ჩხაოდა.

— მიშველეთ! მიშველეთ, ქრისტიანებო! მომალა  
 ამ ბნედიანმა. მიშველეთ, ვინა ხართ მაღლიანი!?

ამ ხანად ბოლო დაგლევილი, (ჩინჩლო) ბიბი-  
 ლო გვერდზედ მოქცეული ვარია ჯოხით მოაშორა  
 ჩატრონმა მარომ, თან შეთათხა და შერისხა, არც  
 ემეტებოდა, რომ ჯოხით ეცემნა.

მერე კაჭკაჭს მიუალერსა:

— მოდი ჩემო ნატო! ვინა გცემა, გენაცვალე,  
 მაგ უნამუსომა? მოიცავოს მაგ... მაგ სასიკვდილემ!  
 და კიდევ ჯოხი დაუტუნტურა მოჩხუბარ ვარიასა.

ნაცემი ნატო მაროს წინ დახტოდა და თან რა-  
 ღაებსაც უამბობდა ჩატრონს, თანაც შესცემოდა თა-  
 ვისი შავი მძივიგით ბჭევრიალა თვალებითა.

— ჭურორ! ჭურორ! რომ არ მომშველებოდი, მა-  
 როჯან, ეგ ცოფიანი მომელავდა!

ნატოს ერთგულობაში ალბათ არ იუგნენ დარ-

წმუნებულები, რომ იმისი დამამშენებული ბოლო  
 ძალზედ დაემოკლათ და მხრებიც სულ შაეჭრათ, რის  
 გამოც გურტუმს უკან ზურგი სულ უჩანდა და გა-  
 წიწენილსდა ჰეგვანდა.

— რას გერჩოდა ე ქორის გამოსაწიწენი მგა?  
 რათა გცემა, ჩემო კარგო? ეალერსებოდა მარო ნა-  
 ტოსა.

ნატოც ხან ერთი თვალით შეაცემდებოდა მა-  
 როს, ხან მეორეთი.

— ჟერირ! ჟერირ! მცემენ, მარო, მცემენ! რათა  
 მცემენ? ვის რა დაუშავე? მართალია კაჭკაჭი გარ, ჩე-  
 მი ნათესავები და მამა-პაპა სულ მტაცებლები და  
 ქურდაბაცაცები იუპნენ, სულ ტაციობით ზრდიდნენ  
 შვილებსა. მართალია, გვაუგედრიან, რომ იმიტომ  
 დაჭურინავთ მაგრე სწრაფად და თავისუფლად, რომ  
 ჩვენი მიწაზედ მოსიარულე წიწილებით იგგებებითო,  
 მაგრამ მე რა? მე რაში ვურევივარ? მე რა ვიცოდი,  
 დედაჩემი საიდანა შოულობდა, ჩემთვის რომ გემრიე-  
 ლი ლუქმა მოჰქონდა, იტაცებდა, იპარავდა, თუ თა-  
 ვის ოფლით შოულობდა. აი თუ მე მოვიტაცო, თუ  
 დაუშავო ვისმე რამე, მაშინ რაც უნდა, ის მიუონ.  
 ჩემი დედამის ცოდო კი მე რათ უნდა გადავისადო?!

— ჟერირ! ჟერირ! იმასდა ნატო. რასაც ეგენი  
 აჲეთებენ, მეც გავაკეთებ, მეც თვითონ ვიზრუნებ ჩემი  
 საზრდოსათვის. სხვა რა საქმე გვაქს: ჩვენ უველანი  
 კაცის ხელში ვართ, სურს—დაგვარჩენს, სურს—

დაგვეხმდავს. რა გვაქვს ერთმანერთში სადაო და გასაუღილები?

— ჭო ჩემთ გარეო, მაგრამ ლურჯ კრუხს გაუფთხილდი, მაგისთვის საკმარისია, რომ შენ ჭრელი ხარ, ხო იცი რა გაბოროტებულია შენი გვაროვნოს ბისგან. ეცადე, ცუდი არაფერი შეგამჩნიოს, მერე მას ლე შეგძევებიან და შეგირიგდებიან.

\* \* \*

ნატოს ისტორია გმელი არ იყო. იმის დედმამას მაროს ვენახში ალუბლის წვერზედ ჰქონდა ბუდე. სულ ხმელი მემვი და წალამი აეზიდათ, სამ თურთს ტოტ შუა ჩაედგათ და გაემაგრებინათ, ქოთნის მირივით შემოეგლისათ ტალახით და მერე ჩალა-ბულა ჩაეგოთ, ზემოდანაც წალმით დაეხურათ და მხოლოდ აქეთიქიდან გაეშვათ გასამრომი.

კრუხად მჯდომს მხოლოდ ბოლო უჩანდა, ისიც იმიტომ, რომ მეტის-მეტად გმელი ჰქონდა.

მარო მოუთმენლად ელოდა ბარტეების გამოჩეკას. მალიან ენატრებოდა კაჭკაჭის მოშანაურება.

— რასა ამანებთ, ქალო, ბეგიაანთა ჸეავს ერთი გაჭკაჭი, ადამიანივითა ლაპარაკობს. ხუთი თუმანი ექლიათ, მაგრამ არ მიეცათ; ერთი ხარის ფასია.

— ხუთი თუმანი ჩვენისთანა საწეალი ხალხისთვის ხუთი ათასი თუმანია! — იმახდა მაროს დედა.

მართლა ამლიერს ხუთი თუმანი, ან მართლა ლაპარაკობდა ადამიანივით, თუ არა, ეს კი არ ვიცი.

თუმცა გოგოები მალ-მალე ათვალიერებდნენ ბუდეს და ბარტექებს, არ დააფრინოს კაჭკაჭმალ, მაინც დორ გამოეპარათ და ერთხელ რომ ვენახში ჩავიდნენ, ბუდე ცარიელი კი დასვდათ. მალიან ეწეინათ, მაგრამ ვის დააბრალებდნენ, თავიანთი ბრალი იყო, — ადრე რომ ამოვიუგანოთ, გააციებს და მოკვდებაო.

დაღონებული მარო მოწეუნით შესცემოდა ცარიელ ბუდესა.

— ფიქრი ნუ გაქვს, დაო მარო, გაამჩნევა უფაროსმა მმამ, — აბა ვენახს შემოუარე, აქვე ეუოლებათ სადმე, შორს არ წაიუვანდნენ, დამე ისევ ბუდეში უნდა დაიბუდონ ხოლმე; თუ ეობადათ მოვიქცევით, უკველად ვიპოვით და დავიწერთ.

მართლაც ბუდის შორიასლოს წნორზედ ორი კაჭკაჭი იჯდა და ბავშვებს უურადღებით ათვალიერებდნენ, როცა ისინი ბუდის ქვეშ დატრიალებდნენ. ამათ მიახლოვებაზედ კაჭკაჭები აფრინდნენ და ჩხავილი მორთეს. ერთ ნერგს დასტრიალებდნენ და ჩხაოდნენ.

— აქ მოდი, მარო, აქ მოდი ჩქარა! აბა უცქირე სადა ზის გამოუეუჩებული! ამიტომ დასჩხავის ასე გამწარებით დედა, უნდა როგორმე ააფრინოს.

მაგრამ უურუუტს არ ესმოდა, რა ხიფათი მოელოდა. იჯდა ნერგის ტოტზედ და აქეთ-იქით უაზაროდ იბლიტებოდა. როცა მარო ნერგზედ აფოფხდა, იმან უურიც არ შეიბერტჲა, მხოლოდ გაკვირვებით კი უცქეროდა, ეს რა სულიერიაო.

იქნება დაუჭირა კიდეც მაროს, მაგრამ ხელის მოჭიდებამ ნერგის ტოტი შეანმრია, რაზედაც ბარტეი იჯდა, ის აფრინდა და იქით ტოტზედ გადაჯდა.

მაროც გულის ფანცქალით მიცოცავდა ბარტეის კენ, თან ცდილობდა ღობეზედ დადებულ ძემვს არ გაეკაწრა, თუმცა ხელშიაც შაერწო და მუხლიც დაუსისხლიანა, ბოლოს სწოდა დასაჭირად. შემინებული ბარტეი აფრინდა, ტოტებში გაება, ძემვებში ჩამოვარდა და ჩხავილი მორთო. მაროსაც ეს უნდოდა, — სწრაფად წაავლო ხელი და თუმცა კაჭკაჭი ჰქონდა და აკაწრიდა, მაგრამ რაღას გაუშვებდა ძვირფას საუმოვარსა?

ჩამოსვლაში კაბაც ჩამოიხია, წვივიც ჩამოაქლიტა ხმელ როკსა. თვალებ გაბრწეინებული მარო აღ-ტაცებით უჩვენებდა კაჭკაჭს და-მძებსა.

დედა კაჭკაჭი კი ჩხაოდა და ეძახდა ნათესაობას საშველად.

მოგროვდნენ ისინიც, დახტოვდნენ სის ტოტებში, ჩხაოდნენ, უბედობდნენ, კერც ერთმა კი ვერ გაბედა მაროს დასცემოდა და ბარტეი წაერთმია.

მარო გასარებული შინ წავიდა, დაღონებული კაჭკაჭები კი წნორებზედ ჩამწკრივდნენ და გააბეს ლაპარაკი.

ბარტეს ფრთები და ბოლო შეაჭრეს, „ნატოს“ სახელით მონათლეს და ჩხირების გალიაში შეამწუვდიეს. დოში ბური ჩაუქარეს და თითით უელში ჩას-

ტქნეს. წიწილების ხორცს ნაჩვევ კაჭკაჭს ბარემ არ ესამოვნებოდა და უგემურად მიირთმევდა გლეხურ საჭმელსა, მაგრამ რა მეტი გზა იყო. გოგოები ხანდახან კალია-ბუზებსაც უზიდავდნენ და ათასში ერთხელ ხორცსაც შოულობდნენ,—ან მეზობლები დაჭკლავდნენ რასმეს, ან ბეჭისერ დღეში მამა იუიდა დუქანში.

თანდათან შაქერია ნატო თავის მდგომარეობას, საჭმელსაც თვითონ დაუწეო ჭამა და ბოლოს ხომ გალიდანაც გამოუშვეს და ნება მისცეს თავისუფლად სიარულისა. ბავშვებს მალიან შაქერია, სულ უკან დასდევდა სკიათობით და ევირილით. ქათმებში ჩაერეოდა ხოლმე და იმათოან საკენეს ვითომ და ჰეგენკავადა, საზოგადოდ მალიან მხიარულად იყო, როცა თავისუფლად იყო, თუ ქათმები არ ჩაარტეამდნენ თავაში, ან კრუხი არ მოჰქრავდა თვალსა. კრუხმა კი რამდენჯერმე კინაღამ გაგლიჯა და რის ვასუბაგლასით ძლიერ გააგდებინეს ხელიდან.

გალიაშიაც მალიან სწუხდა და მოუსვენრობდა, სულ ჩხაოდა, გალიის კარებს ებრძოდა, გვერდებიდან თავსა ჰეთუდა, ასტოდა და დასტოდა ქანდარაზედ. თუ კარგად არ იყო დაკეტილი, გალიის კარებს თვითონ აღებდა, რასაც მოახელებდა, ნისკარტით მიათრევდა და სადმე ძვებ ქვეშ მალავდა, თან ცალი თვალით უღირღიტებდა, ჩანს თუ არაო.

ბოლოს ბევრი ეჭვისა და უნდობლობის შემდეგ

ვარები და დედლებიც შექვიცნენ. თუმცა სან და სან რო ჩამაფრინდებოდა საიდანშე, ისევ ჟოიამული შე უდებებათ სოლმე. იმათთან ერთად დახტოდა, ჰყენკავ-და, წეალსა სვამდა, ემასხარებოდა. მაროც სიხარუ-ლით ფეხზედ აღარ იდგა, ან ახლა ამოიდგამს ენას, ან ახლაო.

მაროს მამას კი არა სწამდა რა კაშტანის ლაპა-რაკისა: — თქვენ რას მიკეთებთ, შვილო, მაგდენი ლაქ-ლაქით, მაგან რა გამიკეთოსო.

დღეს აღარ აშინებთ ქათმებს ნატო კაშტანის სი-ჭრელე. კრუხიც შექვია და წიწილების მოტაცებისა აღარ ეშინას.

თ. რაზიკაშვილი.



გამარჯვებული კაშტანი.

## ჩემი ფიცი

**Y**ნდა გითხრათ ჩემი ფიცი  
კოტტაა და მშენიერი,  
სავერდივით ბეჭვ-ბალანზე  
ზედ გადაჭრავს გიშრის ფერი,



ოლქა მომქალეობება  
საამურათ კოუტბას თვალებზე,  
უელზე მისვამს სიამით გუდს,  
არ მაყარებს ჩელზე ბრწყალებს.

მიხრუტუნებს, მიქრუტუნებს,  
 ხან თათს გამკრავს ლოება-თვალზე,  
 ხან სულს ნაბავს, გეგონებათ,  
 შეჭრვია რული თვალზე.

თუ თაგვის ხმა გაიგონა  
 მაშინათვე გამექცევა;  
 უნდა ნახოთ მაშინ მისი  
 ემძაკური კუდის ქნევა.

კუდს მიწაზე ასანსალებს,  
 მუცლით ცურავს, ხანა წვება  
 და ამ ემძაკს უკბილაბწყალო  
 თაგვი არსად გადარჩება...

ჩემ კიშერა ფისოსთანა  
 სხვაგან ციცა არსად არი,  
 არ ვინ იცის იმისთანა  
 არც გრუტუნი, არც ზღაპარი.

შ. მლვიმელი.



## რათა ბზუვიან კოდოები?



(ზღაპარი რუსულიდან)

მიურინავს კოდო და მიბზუვის: ბზუ!  
ბზუ! ბზუ!

შემოეგარა წინ ჭრელი გზებაჭი:  
— გამარჯობა, ბატონო კოდო ბზუ-

გუნავ!

— გაგიმარჯოს, ჭრელ კაბიანო უბედო კაჭებო!  
მოქალაქე კოდო და ისევ შემოსმახა: ბზუ. ბზუ,  
ბზუ!

— ნეტა ვიცოდე, რას ნიმნავს ეგ შენი განუწ-  
ევეტელი ბზუილი, კოდო ბზუკუნავ?

— რა შენი ჭკუის საქმეა! ჯერ უნდა იცოდე,  
ვისთანა უბედობ და ისე მეღაპარაკო! მე იმასა ვბზუ-  
ვი, რომ მთელ ქვეყანაზე უღონიერესი და უძლეველი  
გმირი გასლავარ, არავის თავს არ ვუქადრებ! ბზუ!  
ბზუ! ბზუ, ბზუ! მიუგო კოდომ ამაქათ.

გზებაჭი გულიანათ გადიხარხარა.

— შენ რა ხარ, შენი ღონე რა უნდა იუს, ხა-  
ცოდავო კოდონავ! უბრალო ჩიტუნიასაც კი ლუკმათ



არ გაუხდები და რა წამსაც უნდა ელაჭანს გაგაფენს-  
დაჩხავლა ქაჭკაჭმა.

— ეს მე და ეს მეიდანი! გამობრმანდეს, ვისაცა  
ნებავდეს, და ვნახოთ, რა სეირს შეეურება! მე არც  
ფრინველების შიში მაქს, არც ნადირისაო, შებზუვლა  
კოლონა ბზუგუნამ.

— ჴაი გიდი, კოლონავ! მაში, გეტეობა არც არა  
წიგს შეუშინდები?

— რად შევუშინდები! არწივი ვინა ბრძანდება, რომ  
იმას შევუშინდე!

თურმე შორი-ახლოს, სალ კლდეზე წამომჯდარი-  
ეო არწივი და კოლო-კაჭკაჭის ბაასს უურს უბრდებდა.  
რა გაიგონა ასეთი დაცინვა ნამცეცა მუმლის პირი-  
დან ფრინველთა მევეს გული ეელმი მოებჯინა, გა-  
მქანა მკვეჩარასაკენ და მრისხანეთ მესმახა:

— მართლა არა გაქს ჩემი შიში, კოლონავ?

— აარა! შესჭეივლა კოლომ ამავათ.

არწივმა პირი დააღო და მკვეხარა მუმლი უნდა  
გადაეულაპა, მაგრამ კოლოც ეშმაკი მწერია.

არწივს კისერზე თეთრი ფაფუკი ბუმბულის სა-  
ელო ახვევია. კოლომ მარდად ჩაუსო საუელოში თა-  
ვისი შხამიანი კოკობი ულვაში და ისე მწარეთ უჩე-  
ლიტა, რომ არწივს „ეაიმე დედავ“ ამასებინა!

ქაჭკაჭმა შიშით ტოპა დაიწეო, მოუსვენრათ ტო-  
ტიდან ტოტზედ გადატუგადმოსტა, მერე გაფრინდა  
საშინელი ჩხავილით და მთელ სამეფოს მოსდო კო-

## რათა ბზუგიან კოდოები

ლოს ოინები: „ჩვენს მეფეს აწუხებს და შეურაცელა  
ფას აუენებსო.“

მოზღვავდნენ ფრინველები დიდი და პატარა. ეგვი  
რის არწივი, აწედება აქეთიქით! ჩაძგნათებია კოდო  
მაგრა ქერძი და იჭვიბება არწივის სისხლით — წუ-  
რბელასავით. მოიქანცა არწივი და ღონე მიხდილი  
ძირს დაუცა. გაიტიქა სისხლით მუცელი კოდონამ  
და გასწია სასეირნოთ ბზუილით. შემინდნენ ამ ამბის  
მნახველნი ფრინველები და ეცნენ ზოგი ალთას, ზო-  
გი ბალთას. გადახედა გულ გახეთქილ ფრინველებს  
კოდონამ და გაჟიზუგლა:

— ნუ გეშინიანთ, ჩიტებო-გვრიტებო! დამშვიდ-  
დით ჩემო დებო-დედებო! თქვენ ხელს არ გახლებთ.  
არა რას გავნებთ!

მიათრევს კოდო ღიპს, მიბზუგის; უკან მისდე-  
ვენ ფრინველები ზონინით.

შეფრინდა ბზუკუნა დაბურულ ტექში, შემოჯდა ერთ  
ხეჭე, რომ ჩრდილი იჩრდილოს. მემოესმა შორი —  
ახლოს რაღაც ლაწა-ლუწი. ჭიდავს. მაიმახი დათვუ-  
ნა დაბაჯბაჯებს, გორავს და ბღუჯა-ბღუჯა საბა-ხებას  
იურის სარბათ სვავ მუცელში.

შემოესმა დათვუნას რაღაც ხმა, თვალი მოჟკრა  
ბზუკუნას, შებღვირა და დაუბურტუნა.

— ხმა გაიწუვიტე, ვიღაც ოხერი ხარ და თავს  
ნუ მაბეზრებ შენი წრიპინით, თორემ მამა ჩემს აქვს  
ცხონება!

აიღო მაღლა თავი კოდონამ და ომახიანად შე  
ბჟუვლა:

— რას იმუქრები, რო იმუქრები, დათვუნავ! უურებზე ხახვი არ გადამაჭრა! მანდ ბუტბუტს, აქ გამობმანდი და თავი დაბლა დამიკარ, თორებ მე ვიცი მე შენ!

— რაო, რაო, რაოოო?! თავი დაგიკრა? მე—  
სპილოს ტოლა მხეცმა, შენ — რწეილის ტოლა მწერს?!  
გამშორდი, ე მანდ არ გაგსრისო, შე საცოდაო და  
შენს ცოდოში არ ჩავდგე!

— აბა სცადე, თუ წერას აუტანისარ! შეეჯავახა  
ცხვირ აფხევით კოდონა.

გაბრაზდა დათვი, რა გაბრაზდა, პირიდან დო  
რბლებსა ჰურიდა! ძოდი და გული ნუ მოვივა: კო  
ღოებმაც კი უნდა გაბედონ იმასთან ლაპარაკი, კო  
ღო-ბუზებმაც?

დაიბურდღუნა დათვუნამ, აიუაუვა უკანა თათებზე  
და შემოუქნია კოდოს წინა თათი, მავრამ მტერი და-  
გრჩეს ხელ ცარიელი! თვალის დახამხამებაც კი ვერ  
მოასწრეს დამსწრე ფრინველებმა, რომ კოდო დათიას  
ზედ ცხვირის წვერზე დაასკუპდა და უგმირა თავისი  
ბასრი ნესტარი. შებღავლა დათვუნამ სიმწრით:

— დამესხენ, კოდონავ! მომშორდი კოდო-ჯან,  
შენს სიურმეს ვენაცვალე! გეეოფა ხუმრობა, ჩემო მწე-  
რიკო!

მაგრამ საქმე არა გაქვს! მოშორდეს ისე ადგიულად რომ ერთი იმისი სისხლითაც არ დაითოროს!

ტრიალებს დათო, გორაობს მიწაზე, ცეკვავს უკანა თათებზე, ბუქნაობს და ცდილობს თავი დააღწიოს კოდონას; მაგრამ ამაოდ!

გაფრინდა ამასობაში მეჭორე ებედი კაშკაში და მოსდო მთა და ბარს, ნადირთა კარსა და ბანს კოლოს ამბავი, დათვის დაბრიუება და შერცხვენა, ასე მასწრაო ავდება!..

მოაწედა ნადირი დიდი და ჰატარა. რას ნახავს კაცის თვალი უკეთეს სანახაობას! ნაძღვილი შექცეულა, თამაშა! გაზადის ათურმას დათო დათვიაშვილი, ღრიალებს თავისი ბოსის ხმით, ბუქნაობს და ცეკვას! დასკუპებულა მის უზრუნველყო, აფრიალებს მარაოსავით ჰაწაწკინტელა ფრთებს და ტრაბახობას:

— ხედავთ, ხალხო და ჯამათო, დათვუნიას რა ცეკვა ვასწავლე!

იცინიან ნადირი გულიანათ და თან იწვიან და თვის საცოდაობით.

— კარგია, კოდო-ჯან, აპატიე შენ გაზდახ, აკმარე და მაგის ამ საცოდაობას ნუ ა გვაუურებინებო! შესთხოვეს ბოლოს მსეცებმა კოდოს.

— იმ ჩირობით, თუ მიწამდი თავს დამიკრავსო, მიუგო კოდომ.

სწეინს დათიას, ეთავილება კოდოს წინ თავის მოდრეკა, მაგრამ მეტი რა ჩარაა! დაუკრა მძიმედ თა-

გი, მოშორდა კოდო, და გამუნბულდა დათვი დურ-  
ღუმელ ტჰეში შერცხვენილი დასამალავათ, უკან აღარ  
მოუხედნა.

— გასწი და საცა შენი თქვა, დათო ბურტეუნავ,  
იქ კოდოებსაც ნუ დაივიწევებო! მიამახა გამარჯვებულ-  
მა დამარცხებულს.

გაფრინდა ჩვენი ფალავანი ჭაობებში, თავის სამ-  
შობლოში, რომ ეცნობებინა თავისი გამარჯვება ჭა-  
ობის მკვიდრთათვის, მაგრამ გზაში აჯდარმა მოახწრო:  
გზიელვა, ატედა ჭექა-ჭესილი, ძმოვარდა გრიგალი  
და წამოუშინა შხაბუნა წვიმამ.

შემინდა კოდო, საქმე ცუდად არის, ახლა კი უკ-  
ჭელად დავიღუჩებიო!

კოდოს ბედჭე, გზის პირად იდგა ნორჩი მცენა-  
რე, ამოეფარა ამ მცენარეს და სმა გაკმენდილი იც-  
დიდა.

ნადირნი და ფრინველნი ტჰეში მიიმალნენ... ქარ-  
გა ხანს იბობოქრა გრიგალმა. ნორჩი მცენარე ამ  
დოროს იზნიქებოდა ძლიერი ქარის ქვეშ, იხრებოდა  
აქეთ-იქით და გადაურჩა მას როგორც იუო. ტჰეში  
კი ბევრი უზარმაზარი სეები მიიმსხვრ-მოიმსხვრნენ,  
ზოგი წაიქცა და ზოგიც მირიან-ფესვიანათ ამოვარ-  
და.

ბოლოს ქარი ჩადგა, მინდორი დამშვიდდა. ცაზე  
მზემ გამოანათა. კოდომ დიდი შიში გამოიარა და  
მლიგს ცოცხალი გადარჩა.

გამოეფინენ მინდვრათ ნადირ-ფრინველი. ადარ სად ისმის კოლოს ბზუგილი.

— დაიღუძა სწორედ საცოდავი ცრუპენტელა კოლონა! სთქვა კაშკაშმა, რომ ამ დორს კოლონა მცენარის მირიდან ამომვრა და შემოსმახა თავისი: ბზეუბზეუ, ბზეუ!

— მშვიდობა თქვენდა, მმებო,— ნადირნა ტუისანო და დებო,— ფრინველნო ცისანო!.. რასა იქთ და როგორა ხართ? ვმადლობ ღმერთს, რომ მშვიდობით გნედავთ!

გაჭირებულენ ფრინველი და ნადირი.

— დახე, კოდონას, ამ მედგარ ქარსაც რომ ვერა დაუკლია რაო!

— სად იუავ, გენაცვა კოლონავ? ჭკითხა კაშკაშმა.

— სად ვიქებოდი,— ქარს ვეომებოდი. ვერ და მინახეთ, რომ ხის მირიდან ამოვმვერ? ვიჯუქ იქა და ხე მეჭირა, რომ არ წაქცეულიერ. მე რომ არ შევ-სწორებოდი, საბრალო ხე უთუოდ მირიანად ამოვარ-დებოდა და წაიქცეოდა. მავრამ მე მეჭირა მავრა და ქარს ადარ მოვაგლეჯინე! მააშ! მე ვარ რაცა, ვარ! ჩემზე მმლავრი ვინ არის ქვეყანაზე! მშვიდობით მმებო და დებო! ასლა კი ჩემს ჭაობისაკენ მივფრინავ!

— მშვიდობით, ჩვენო გმირთა გმირო! მიაძახეს ფრინველთა და ნადირთ.

# როგორ ზრდიან პირუტყვები

თავიანთ შეილებს.

გ ე ლ ა.



აღაც უხასიათო შეილები ჭეავს მელას: თუ მაძარი არიან, ეთამაშებიან ერთმანეთს, როგორც ქარგი და-მძა. მაგრამ თუ მოიტანა დედამ რამე — იხვიან ქათამი — გათავდა მათი ქარგი განწეობილება. დაიწევება ჩხუბი და ვაი-ვაგლაბი მათ შორის. დედა ცდილობს შინ ბევრი საჭმელი მოიტანოს, განა მისა თვის სასიამოვნოა, რომ ეოველ ლუკმისათვის ასეთი ალიაქოთი ატევეს.

გათავდება ჭამა, გამომღებიან ჰატარა მელები და ისევ თამაშობენ ერთად, რო ნახოთ, გესიამოვნებათ ისე ტკბილათ თამაშობენ.

შემოდგომისათვის ისე გაწუწედებიან ჰატარა მელიები, რომ დედა ვეღარ ასწრებს ნადირობას და საჭმლის ბლომათ მოტანას. მართლაც, სად უნდა წა-გიდეს დედა, რამ სიშორეს, რომ რამე იძოვნოს.

კიდევ ქარგი, რომ ამათ მთელი ოჯახით შეუძლიათ შემოდგომაზე ნადირობა. ჰატარა მელიები მოღონიერდებიან, სულ რომ არ ითამაშებენ!

მგონი, დიდი მოხერხება არ არის საჭირო ჰატარა ჩიტუნიას დაჭერისათვის. მაგრამ ამასაც ვერ მოახერხებენ მელიები, თუ დედამ არ ასწავლა.

დაიჭირა დედამ მამალი, არ მოუკლავს, ისე ცოცხალი მიათრია ხევში. აუწვლაა უნდათ კბილები მელია-შეილებს, რომ დაინახეს დედა-მელა რას მო-

ათონებს. ეცენ დედას, ამ დროს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში, ერთმა მეორეს კუდზე უკბინა, რატომ გამისწარი წინო.



დანე უბედურებას! მამალი გაუსწლებათ სელიდან და დააპირა გაქცევა. მელიები დაედევნენ და წააქციეს. წეწენ, გლეჯენ საცოდავს და თანაც ჩხუბობენ, ცდა-ლობენ ერთმანეთს პირიდან გამოგლიჯონ ლუკმა.

მალე თითონაც იწეუბენ ნადირობას, იჟერენ პა-ტარა ჩიტებს, კურდღლების ბაჭიებს სულ მოკლე ხანში უოველნაირ ეშმაკობას სწავლობენ — ტეუილათ არ არის ნათქეამი მათ ეშმაკობაზე: , მელიამ თავისი კუდი მოწმათ ძორევანაო'.



## პ ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოლგენილი კ. სეხნიაშვილისგან)

კატამ კლანჭი რას მოავლოს,  
რომ არ იყოს სასვლეპილა საწიწვნარი.

დათვისათვის ბუზის ბზუილი მუდამა არის ტყუილი.

## შ ა რ ა დ ა.

მიღის წინ ფეხის ბაკუნით, არ ეშინია მტრისაო,  
თავი ამაყათ უჭირავს და გულადია ისაო.  
მიღის წინ წვერის ცანცარით, წინ უძღვით თვისა მოძმეთო  
გზას უკვლევს უვალსა სწორ და თვალს ავლებს ამათო.  
რქებიც ტანთ გადაუწყვია და ჰშვენის ვითა ჯიხესაო.  
მაშ გამოიცან, პატარავ, აქა ვგულისხმობ ვისაო?

## საუხმარო ამოცანა.

ცხრა სტაქანი ღვინო ორ ბოთლში ჩასხეს, ჩამოსწყეს  
შემდეგ იქიდან და თითოდან ცხრა ცხრა სტაქანი ღვინო ჩა-  
მოასხეს.

აბა გამოიცანი პატარავ ეს რათ მოხდა ასე?

## ა ს ს ხ ა:

გამოცანები: ღრუბელი, წისქვილი, ზარა.

შარადა ჭარხალი.

რებუსი: კარგ მთქმელსა — კაი გამგონი უნდა.

# † ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

(1837—1907 წ.)

„მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,  
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლას შენა!“

**0**ვეადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა სოფ. ყვა-  
რელში 1837 წელს. დედა მისი სომხის ქალი იყო, მა-  
გრამ ქართული კარგათ იცოდა. ქართული წერა-კით-  
ხვა პატარა ილიკომ თავისი მამიდის ხელმძღვანელობით ისწა-  
ვლა. როცა წამოიზარდა, იგი თბილისს ჩამოიყვანეს და ვაჟე-  
ბის ეხლანდელ პირველ გიმნაზიაში მიაბარეს. 1856 წელს,  
ცხრამეტი წლის ილიკომ გიმნაზია დასრულა, პეტერბურგს  
გასწია და უნივერსიტეტში შევიდა, იურიდიულ ნიჭილზე. იგი  
ჯერ ისევ პირველ კურსზე იყო, როცა (1857 წელს) ლექსე-  
ბის წერა დაიწყო. ამ დროს ეკუთვნის მისი პირველი ლექსე-  
ბი: „ყვარლის მთებს“, „სანთელი“, „ხმა სამარიდამ“ და  
„სიმღერა“.

უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძემ 1861 წლამდე დაჰყო  
და ამ ხნის განმავლობაში მრავალი ძვირფასი მარგალიტი შეს-  
ძინა ჩვენს სამგოსნო მწერლობას. ამ დროსაა დაწერილი მისი  
საუკეთესო ლექსები და პოემები: „ქართლის დედას“, „გავ-  
სწორდეთ ბედო“, „ელევია“, „ნანა“, „ბევრი ვიტანჯე“  
(1859 წ.); „პოეტი“, „მუშა“, „დაბნელდა სული“, „ნი-  
კოლოზ ბარათაშვილს“, „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვ-  
რებიდამ“, „დედა და შვილი“, „აჩრდილი“, „მესმის, მეს-  
მის...“ (1860 წ.); „მას აქედ, რაკი შენდამი ვსცან...“,  
„გაზაფხული“ და „ჩემო კალამო“ (1861 წ.).—

1861 წელს, სტუდენტთა არეულობის გამო, ოკუდაოთხი



წლის ილია იძულებული გახდა უნივერსიტეტის მე-IV კურსიდან გამოსულიყო და „მშობელ-ქვეყანას“ დაბრუნებოდა. ამავე წელს ეკუთხნის მისი საუკუთხესო ნაწარმოები „მზადებელი წერილები“. ამ წერილებიდან ნათლათ სჩანს, თუ რამდენათ მომზადებული და რა მიმართულების ყოფილა ჭაბუკი მგოსანი, როცა იგი სამშობლოს დაუბრუნდა: ეს მიმართულება იყო მტკიცე ერთგულ-დემოკრატიული, რომლისთვისაც შემდეგ ილია ჭავჭავაძეს თავის სალიტერატურო მოღვაწეობაში იოტის ოდნათაც არ უღალატნია.

დიდებული იყო ის დრო, როდესაც ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა: მთელის მოწინავე რუსეთს მედგარი იერიში მიქვინდა დახავსებულ ბატონ-ყმობაზე და მთავრობაც 60-ანი წლების რეფორმებს ამზადებდა. ჩვენს სამშობლოში კი ჯერ ისევ „ძილი“ სუფევდა, — სწორეთ ის გონიერივ-ზეობრივი და საზოგადოებრივი „ძილი“, რომლის შესახებაც ახალგაზდა მგოსანი ისე გულ-ამოსკვნით გაიძახოდა:

„ომ, ლმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...

როსლა გვეღირსოს ჩვენ გალვიძება?!“ - ი.

არ ეძინა მხოლოდ ახალ-გაზღვობის ერთს პატარა ჯგუფს, რომელსაც მაშინ დელმა ჩვენმა ცხოვრებამ სამი უმთავრესი საკითხი წამოუყენა: ა) მიძინებული საზოგადოების გამოეჭის-ლება, მის დამღუბველ თვისებათა და გამაუკულმართებელი წყობილების გაკიცხვა; ბ) ახალი საზოგადოებრივი იდეალების წამოყენება, უკეთესი მერმისისკენ გზის ჩვენება და გ) სალი-ტერატურო ენის გამდაბიურება, მწერლობისა და ხალხის ერთმანეთთან დაახლოება. სიტყვით თუ საქმით, წერით თუ ზნეობრივის გავლენით აღნიაშნულმა ჯგუფმა, დროის შესაფერათ, ლირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა: ულმობელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ბატონ-ყმობა, სასტუკი ომი გამოუცხადა ყოველს, ჩვენს ეროვნულ ნაკლულოვანებას, და ზნეობრივ-გონიერივათ მიძინებულ ერს უკეთესი ცხოვრებისა-კენ მიუთითა; დასასრულ, შესამჩნევათ გაამდაბიურა სამწერლო ენა და შეჰქმნა თანამედროვე სალიტერატურო ქართული.

ამ პატარა ჯგუფში პირველი აღგილი ილია ჭავჭავაძეს



ეჭირა. მას პირველს ჰევდა წილად, ჩვენი საზოგადოებრივები ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს შეხებოდა, ერთსა და იმავე დროს მრავალგვარი საკითხისათვის ვაეწია ანგარიში. 1862 წ. მან გვიძლვნა მაღალ-ხელოვნური მოთხრობა „გლახის ნაამ-ბობი“, ხოლო 1863 წელს — „კაცია-აღამიანი?!” — რომლებ-შიაკ საოცარის სიძლიერით დაგვიხატა აღამიანის კაცური ლირსების გამათახსირებელი, სულითა და ხორცით მისი დამა-მახინჯებელი და გამაპირუტყვებელი შედეგები ბატონყმობისა; აგრეთვე — ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობანი (მკითხაობა), მა-ჭანკლობა, მოტყუებით ჯვარისწერა, ლოთობა, ძმებს შორის გაუტანლობა და სხვანი.

ამავე 1863 წელს ილია ჭავჭავაძე შეუდგა უურნალ „სა-ქართველოს მოამბის“ გამოცემას; მაგრამ უურნალმა ერთ წელ-ზე მეტს ვერ იარსება და სამუდამოთ დაიხურა. 1864 წელს ჩვენში ბატონყმობა გააუქმეს და ნაბატონრებისა და ნაყმევე-ბის საურთიერთო დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ მომ-რიგებელი შეუძავლის თანამდებობა შემოიღეს. 1864 წლიდან 1868 წლამდე ილია ჭავჭავაძე ამ თანამდებობას ასრულებდა დუშეთის მაზრაში; ხოლო 1868—1874 წელს იმავე მაზრაში მომრიგებელ მოსამართლედ შეასურობდა. 1875 წელს თბილი-სის თავად-აზნაურობამ საადგილ-მამულო ბანკი დაიარსა და ილია ჭავჭავაძე ბანკის გამგედ მიიწვია. მას შემდეგ 1905 წლამ-დე ილია ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ითვლებოდა. 1877 წელს მან დააარსა გაზეთი „ივერია“, რომელსაც 1901 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამ გაზეთში ილიამ მრავა-ლი საპუბლიკისტო წერილი მოათავსა, რომელთა შორის ყვე-ლაზედ უფრო შესანიშნავია: „ცხოვრება და კანონი“, „აი ისტორია!“ და „ქვათა ღალადი“. ეს უკანასკნელი სომხის მეცნიერთა წინააღმდეგაა მიმართული.

მართალია, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა (ბანკში) სამსახურმა 1864 წლიდან ილია ჭავჭავაძე სამგოსნო მოღვა-წეობას დააშორა, მაგრამ მას სამგოსნო კალამი მაინც ხელი-დან არ გაუგდია: 1870 წელს მან დასწერა ორი მეტად მწვა-ვე სატირული ლექსი „ბედნიერი ერი“ და „რა ვაკეთეთ,

რას „ვშვრებოდით“, რომელიც სასტიკათ გაჰკიცხა ქართველი ერის საერთო ნაკლულოვანებანი და უკან ჩამორჩენილობა; 1878 წელს — იმავე ერს უძღვნა მაღალი იმედებით აღსავსე ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“...; 1880 წელს — დიდებული პოემა „დიმიტრი თავდადებული“, ხოლო 1883 წელს — პოემა „განდეგილი“. 1887 წელს — ილიას ხელიდან გამოვიდა მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, ხოლო 1890 წელს — მისი უკანასკნელი ლექსი „ბაზალეთის ტბა“, რომელიც პირველათ ახლათ დაარსებულის „ჯეჯილის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა.

1905 წელს ილია ჭავჭავაძემ ბანქში სამსახურს თავი დანება, რის შემდეგაც იგი თბილისის გუბერნიის თავაღ-აზნაურობაში სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი და ხანგრძლივი მოღვაწეობა. მან იცოცხლა სრულს 70 წელს და აქედან 50 წელი საზოგადოების სამსახურს შესწირა. ასეთს მოღვაწეებს მოწინავე ქვეყნებში დაფნის გვირგვინით ამკობენ; ილია ჭავჭავაძეს კი ჩვენი ქვეყნის ნაძირალებმა 30 აგვისტოს გული ტყვით გაუგმირეს...

დიახ, მოჰკლეს ის კაცი, რომლის ნაწერებზედაც ჩვენ ყველანი აღვზრდილვართ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი თაობა აღიზრდება...

აღარ გვყავს იგი! უღვთო იყო მისი სიკვდილი!  
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავკარგეთ ჩვენა!..  
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,  
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა!

ს. გორგაძე.



# განთიადი ახალი ცხოვრებისა.

მოულოდელი აგავი.

III.



აღილობის დრო ახლოვდებოდა და ქალბატონი ტაილგრავი თავისი ქალებით ჩამოეშვა დაბლა სასაფილო ოთახში, სადაც სუფრა უკვე გაშლილი დაუხვდა. სკომებთან იდგენ მარაოებით ხელში იგივე ზანგის პატარა ქალები, რომელთაც ეცვათ ოოვლივით ოეთრი ბჟყერიალა კაბები. საბრალო პაწიები, თავ-ჩაღუნულნი მოწყენილი სახით იდგენ და ლაპარაკს ვერა ჰბედავდენ. წელან ამათაც დაინახეს საბრალო მულატი და კარგათ ესმოდათ, რა დღესაც დააყენებდნენ მას. მართალია, მათ არც ერთხელ არა ჰქონიათ შემთხვევა, რომ გამოლაპარაკებოდენ თავიანთი მონათესავე ზანგებს, მაგრამ ყური მაინც მოეკრათ ჩრდილო-სამხრეთელების ომზე. მათთვის ძნელი დასჯერებელი იყო, რომ გამოჩენილიყო ისეთი ხალხი, რომელიც მათ გულისთვის ხმას ამოიღებდა და იზრუნავდა მათ განთავისუფლებაზე. ესენი ორივე—დები იყვნენ. თუმცა შავი კანისა, მაგრამ ძრიელ მიმზიდველი სახე ჰქონდათ. დიდი ხანი არ იყო, რაც ესენი დედ-მამისთვის მოეშორებინათ. ეს ამბავი მოეხდინათ განგებ სულ ღამე, ასერომ პატარებმა არ იცოდენ, სად გადაპარგეს მათი დედმამა, სად გაპყიდეს, ან თვითონ ისინი ვისთან არიან და სად იმყოფებიან. მაშინ ზანგებს ამნაირად აშორებდენ ერთი ერთმანეთს და სხვა და სხვა ოჯახებში ჰყიდდენ. თუმცა საბრალო ბავშები ძრიელა სწუხ-

დენ თავიანთ ბედ-იღბალზე, მაგრამ ხმის ამოღებას კი ვერ ჰქონდავდენ; ვერ სცემდენ ერთმანერთს ნუგეშს, და არ შეეძლოთ გაეზიარებიათ ერთი მეორესთვის თავიანთი გულში ნადები მწარე ნაღველი. ამის ნებას ბატონები არ აძლევდენ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, უცბათ საქმე ისე დატრიალებულიყო, რომ ყველანი განთავისუფლებულიყვნ, შვილები დაპტრუნებოდათ თავიანთ საყვარელ დედ-მამას! მაგრამ განა ამისთანა აზრებისთვის არ იყო, რომ ამ დილით საბრალო მულატს მიუსიეს ძალლები და დახრჩობა გაღუწყვიტეს?

ქალბატონი ტაილგრავი ძრიელა სწუხდა, რომ მისი ქმარი აქამდის არ ბრუნდებოდა.

— ახ, დედი, — უთხრა ჯენნიმ, რა კარგი იქნება, რომ იმ ავაზაკის დახრჩობა წინდაწინვე შეგვატყობინონ, რომ დროზე მოვემზადოთ მის სანახავათ.

— აბა რას ამბობ, უჩვენოთ რა იქნება... რასაკვირველია უნდა ჩვენი მონებიც თან წავიყოლით, რომ თავიანთ თვალით დაინახონ მულატის დასჯა, ეს მათ ჩააგონებს პატივის ცემას ბატონებისადმი.

ლიდა, უფროსი მონა-ზანგი, ამის გაგონებაზე შეკრთა და თავი უნებურად ჩაქინდრა; უნცროსმა, პოლლიმ, შეშინებულის სახით შეხედა დას და დიდრონი ცრემლები მარგალიტებათ ჩამოუკკრდენ ზედ შავს ლოყებზე.

ამ დროს გაისმა ცხენების ფეხის ხმა.

— აგერ, ჩვენებიც მოდიან, თქვა ქალბატონმა ტაილგრავმა.

— არა, დედი, ეს ჯარის კაცები არიან, ცხენებს მოაჭენებენ... აგერა, ჰედავ რა რიგ ბრჭყვინავენ მათი გალაპლაზებული ხმლები!

— უეჭველია, ჩვენმა ჯარებმა საბოლოოდ გაანადგურეს ჩრდილოელთის ჯარი და გამარჯვებულნი მოდიან შინ, — დაუმატა დედამ.

— არა, დედილო, ესენი ჩვენები არ უნდა იყვენ. მათ ხელში ჩრდილოელების დროშა ფრიალებს.



კანთიადი ახალი ცხოვრებისა

— მტრისათვის ხომ არ წაუკონევიათ? თქვა ხელ-ახლათ დედამ.

— არა, დედი, ეგენი ჩრდილოელები არიან... მე მათი სურათები მინახავს... ეს ჩვენი მტრები მოდიან, ჩვენ ვიღუ-  
ჟებით.

ქ-ნი ტაილანდი გაყითლდა და გაქვავებული შესცემა-  
როდა გზას, მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულა ასე. ის იყო  
გულადი, მოხერხებული და მასთანვე სწრაფათ მომქმედი  
ქალი; მან საჩქაროთ ბრძანებები გასცა და პასუხის საგებლათ  
მოემზადა.

მაღვე მათ ბალის ყორებს მოადგენ ჩრდილოელთა ჯარის-  
კაცები, ჯარის უფროსმა, დაინახა რა დიასახლისი, ზრდილო-  
ბიანათ მიმართა მას:

— მშვიდობა თქვენ, მშვენიერო ლელი, იმედია მასპინ-ძლობაზე უარს არ გვეტყვით და ყელის გასასველებლათ წყალსა და რძეს დაგვალევინებთ.

ქ-ნი ტაილანდი წელში გასწორდა და მიუბრუნდა მას გესლიანის ღიმილით, რომელშიაც იხატებოდა უზომი დაფარული ზიზლი.

— მიბანდით ქალაქში და იქ სასტუმროა! ჩემგან კი  
მაგ დროშის პატრონები ვერც ერთ წვეთ წყალს ვერ მიი-  
ღებთ.

— თქვენ ძრიელ გულადი დედაკაცი ბძანებულხართ, —  
ღიმილით შენიშნა უფროსმა: — მაგრამ ტყუილათ კი უარს გვე-  
უბნებით მასპინძლობაზე. საჭმე ამ უამათ რძის მოწოდებით არ  
გათავდება... სალლი! .. — დაუძახა მან ზანგს, რომელიც ჯარს  
გვერდით მოჰყვებოდა, — ქალაქი კიდევ შორსაა?

— ათი წუთის სავალი გზალა იქნება, სერ!

— კარგი... თუ ღმერთი გწამთ, გაისარჯეთ, მისტერ ჰაიტ,—მიუბრუნდა ჯარის უფროსი ოფიცერს, —ქალაქში დაწინაურდოთ. რამდენიმე ჯარის კაციც გაიყოლეთ და ბინები მოგვიმზადეთ. გენერალ შერმანს, რასაკვირველია, თქვენ ყველაზე კარგ სახლს უშოვნით. ჩვენ კი მანამდისინ აქ დავისვენებთ.

ოფიცერმა დაუყოვნებლივ შეასრულა უფროსის ბძანება. და ჯარის ნახევარი ნაწილით გაჰქროლა. დანარჩენი ჯარის კაცებიც საქმეს შეუდგენ. ისინი დამშვიდებული გულით შევიდენ უფროსის წინამდლოლობით ტაილგრავის მშვენიერ ბალში დაჩრდილ ქვეშ იწყეს დაბანაკება. დიასახლისმა ვეღარ მოითხინა. გაცოფებული გამოვარდა გარეთ და შესძახა ჯარის უფროსს:

— როგორა ჰპედავ სხვის მამულში ფეხის შედგმას? მე, საზოგადოდ, არასოდეს ჩრდილოელები არაფრად მიმაჩნდენ, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ისინი ასე უზრდელებიც იქნებოდენ.

— ქალბატონო, — ზრდილობიანათ უპასუხა ჯარის უფროსმა: — მე ყურადღებას არ ვაქცევ თქვენს ყვირილს. რა გეგ-წყობა, აქ იმიტომ მოვედით, რომ ბოლო მოვულოთ სამხრეთელების სიამაყეს და გულ ზვიადობას. თქვენ არ გნებავდათ დამორჩილებულიყავით გარემოებას, ახლა კი მწარე გამოცდილებით მოგიხდებათ დაემორჩილოთ დროის მოთხოვნილებას.

შემდეგ ჯარის უფროსს ყურადღება აღარ მიუქცევია დიასახლისისათვის და ის გულ დინჯათ დაუბრუნდა თავის ჯარის კაცებს. კაი სანახავი იყო ახლა ეს დაბანაკებული ჯარი. მათ გვერდით ზანგები ფათურობდენ. ყველანი ცდილობდენ ჩრდილოელების სიამოვნებას. ტაილგრავის მსახურებს კი შეუწყვეტლივ მოჰქონდათ სასმელ-საჭმელები.

მინდვრათ მომუშავე ზანგებმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდენ. აგრეთვა მოსულ ზანგთაგანი გადახტა ყორეზე და გაიქცა მათკენ მისახარებლათ. ამ ზანგ მუშების ზედმხედველი შეეცადა მის დაჭრას, მაგრამ მან ერთი მუშტის კვრით მოიცილა ეს ზედამხედველი. ზანგებმა დაინახეს თუ არა თამამი ქცევა ამხანაგისა, მაშინვე მიხვდეს: ეს არის გველირსა თავისუფლებაო, საბრალო მონებს სიხარულით დაუწყო გულმა ტოკვა. ეს თავისუფლება ციურ მანანათ მოვლინა ჩრდილოეთიდან ამ ტანჯულ ხალხს! ისინი ხედავდენ თავიანთ წინ თავიანთ მზგავს ამხანაგს, ოდესმე მონას, ახლა კი თავისუფალს, დამოუკიდებელ ადამიანს და უზომო სიხარულით უბედურნი ლამის გა-

გიუებულიყვენ. მოსული ზანგი ამაყად უამბობდა მათ ჩრდილოელების გამარჯვებას და გენერალ შერმანის მოსვლას. ახლა მტერი უკვე დამარცხებული არის; ბატონყმობა გადავარდა, მონობა აღარასოდეს არ განმეორდება—რომ დღეიდან აღარავის აქვს უფლება მათ სცემონ, ან დასაჯონ, არც ძალდატანება, არც გაყიდვა—აღარავის შეუძლიან, რომ ისინი სამუდამოთ თავისუფალნი არიან, თავისუფალნი მოქალაქენი... მაგრამ ზანგებს სიხარულით აღარა ესმოდათ რა. ბამბეულობა კიუინით მიჰთანტ-მოპტანტეს. ძლივს ელირსათ თავისუფლათ ამოსუნთქვა ცას ქვეშ... თავისუფალ მინდორში, წარმოუდგენელია ის განცვითრება, რომელიც გამოიხატება ბატონის სახეზე, როცა ის—დაბრუნებული ქალაქიდან, დაინახავს თავის ეზოში უცხოელ ჯარის კაცებს და სიხარულით გადარეულს, მოთამაშე—მონებს.

განთავისუფლებულმა ზანგებმა ჩრდილოელთა ცხენებს უხვათ დაუყარეს თვა და ლერწამი, გარეთ უცბათ გაუშალეს სუფრა, რადგან კაპიტანმა გელდორნმა, ასე ეძახდენ ამ ჯარის უფროსს, არ ისურვა სახლში შესვენა. ყველანი მოუსხდენ სუფრას. თითოულ მათგანს წესიერათ და თავისუფლათ ეჭირა თავი. გენერალ შერმანის ჯარში სუფევდა სასტიკი წესიერება, რადგანაც მხოლოდ წესიერების საშუალებით შეიძლება გამარჯვება. თუმცა ხან და ხან ჯარისკაცები მეტს თხოულობდენ ხოლმე, მაგრამ მათ მოთხოვნილებას ზომიერება ეტყობოდა.

წარმოიდგინეთ, რა შურით და ზიზლით შეხვდა მისტერ ტაილგრავმა, როდესაც ეზოში შესვლის უმაღლ გაიგონა იმ ქაღალდის შინაარსი, რომლითაც ზანგებს თავისუფლებას უცხადებდენ. ქაღალდს ხელს აწერდა თვით პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი. ზანგები თავ შეკავებით, სიხარულით უსმენდენ მკითხველს, სახე გაბრწყინებოდათ და, როგორც ჩიტი ნაზე, მხათ იყვენ გასაქცევათ. იგერ კითხვაც გაათავეს და გაისმა მათი კიუინა და სიხარული. მონადედაკაცები სიხარულით ცრემლს ღვრიდენ, რომ თავიანთ დაკარგულ შვილებს გულ-

ში ჩაიკრავდენ, მთელ არემარეზედ გაისმოდა „ვაშას“ გრი-  
ალი.

მოხუცი პლანტატორი ისევ ცხენზე იჯდა და მშიერ  
მგელსავით უცქეროდა ზანგებს. ეხლა კი თვალითა ხედავდა  
იმას, რაც აქამდინ არა სჯეროდა. სამხრეთი უკვე დამარ-  
ცხებული იყო. გენერალი ლის დიდი ჯარი უეწველია და-  
ლუბული იქნება, რომ ჩრდილოელნი ასე თავიანთ ქეფზე ყვე-  
ლაფერს განავებდენ ამათ მიწა-წყალზე.

უცბად ზანგებმა შენიშნეს თავიანთი „მასსა“, როგორც  
ისინი ეძახდენ თავიანთ ბატონს და მის გვერდით — მათი ზედა-  
მხედველი გალლი. ყველანი შიშის ზარმა აიტანა და აქეთ-  
იქით მიიმაღ-მოიმაღენ; ბავშების ღრიალმა ხომ უფრო ერ-  
თი-ორად აგრძნობინა ყველას შიში. მხოლოდ ჩრდილოელებ-  
თან ერთად მოსული განთავისუფლებული ზანგები არსად გაქ-  
ცეულან. ერთმა მათგანმა აიღო ღვინით სავსე ჭიქა და მიარ-  
თვა თეთრ ბატონს, რომელიც ჯერ კიდევ ცხენიდან არ გად-  
მომხტარიყო.

— აհა, მასსა, — უთხრა მან გესლიანის ღიმილით: ერთი  
ჭიქა გადაჰკარ ჩვენ სადღეგრძელოთ.

ასეთმა თავის აგდებამ მოთმინებიდან გამოიყვანა პლან-  
ტატორი, მან სწრაფად აიღო შოლტი და ზურგზე გადაჰკრა  
ზანგს. მაგრამ არც იმან აცალა; საჩქაროთ უკან გადახტა,  
იტაცა რევოლვერი და თან შეჰყვირა:

— ფრთხილათ, თორემ ამით გაგცემ პასუხს.

დედაკაცებმა ტირილი მორთეს და მალე ერთი აყალ-მა-  
ყალი შეიქმნა. ჯარის უფროსი, გელდონი, სწრაფად წამოხტა,  
ხელი მოჰყიდა გაცუდებულ ზანგს და სასტიკათ შეუტია.

— წყნარათ, მეგობარო, თორემ ვინც გაპედავს იარა-  
ლის ხმარებას, იმას დავხვრიტამო, ხომ იცით ჩვენი სასტიკი  
წესები! თქვენ ვიღა ბძანდებით? მიუბრუნდა ის ტაილგრავს.

— მე... აქამდისინ ამ პლანტაციის პატრონი ვიყავ.

— ეხლაც თქვენ გეკუთვნით ეგ, მხოლოდ ზანგებთან კი  
არა გესაქმებათ რა: ისინი ეხლა თავისუფლები არიან. მე  
გთხოვთ, დღეის შემდეგ მეგობრული კავშირი იქონიოთ მათთან.

თქვენ კეთილ-გონიერებაზეა დამოკიდებული ამათი საქმეც,  
რომ ბოროტათ არ გამოიყენონ მინიჭებული თავისუფლება.

— განა ადრე არ არი თავისუფლებაზე ლაპარაკი? სამ-  
ხრეთელების დამარცხება შეიძლება დროებით, მაგრამ მათზე  
სრული გამარჯვება კი არასოდეს!

— მაგასაც ვნახავთ! — სიცილით უპასუხა კაპიტანმა, —  
აბა შეჰედეთ ამ ზანგებს, რა რიგი გულუბრყილობის გამო-  
იცქირებიან, თითქოს ბავშები იყვენ.

ზანგები, საზოგადოთ, მუსიკის მოყვარულები არიან, მათ  
ხელათ იშოვეს ჩონგურები, ფანდურები, სხვა და სხვა საკრავები  
და დაიწყეს საერთო მხიარული სიმღერები. აი ეს გულუბყრვი-  
ლო მისწრაფება ამტკიცებდა მათ სისპეტაკეს, რომ ისინი იყ-  
ვენ უწყინარნი და ყველასათვის საყვარელი ხალხი. იმათ არ  
მიუმართავთ იარალისთვის, რომ სამაგიერო გადაეხადათ თავი-  
ანთ სისხლის მსმელი ბატონებისათვის, ისინი ხოლო ერთად  
შეიყარენ, რომ სიმღერით და ცეკვით გაეტარებინათ დრო.  
დედა-ბერები მაინც შიშობდენ, ეგონათ ვაი თუ ჩრდილოელე-  
ბი წავიდენ და ჩვენმა ბატონმა ხელში ჩაგვიგდოსო. კაპიტანი  
რო ბძანებებს სცემდა, შენიშნა რო ვიღაცამ სახელოზე პაწია  
ხელი წავლო. მოიხედა და დაინახა პატარა ზანგი-ქალი, თე-  
თრი ტანსაცმელით.

— რა გინდა ჩემგან, ბალლო? ჰკითხა ალერსიანათ კაპი-  
ტანმა.

— ახ, სერ, — უთხრა ლიდამ, — ეს იმ ორ დებთავანი  
იყო, რომლებიც დედ-მამას გამოსტაცეს და ტაილგრავს მიჰ-  
ყიდეს, — მართალი არის, რაც ჩვენმა ბობმა გვითხრა? მართალი  
არის, რომ ჩვენ ყველანი თავისუფლები ვართ, და ნება გვაქვს  
საცა გვინდა იქ წავიდეთ?

— მართალი არის, მაგრამ შენ ისევ დედ-მამასთან დარ-  
ჩები, უეჭველია.

ლიდამ მაშინვე უამბო თავისი და თავისი დის სამწუხა-  
რო ამბავი.

— სად დაგაშორეს ერთმინეთს, რომელ ადგილას?

— არ ვიცი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენ გემში ვისხდით.

— საბრალო ბავშები, — ჩაილაპარაკა კაპიტანმა აკანკალებულის ხმით. — ჩვენც სწორედ იმიტომ ვიბრძვით, რომ მოვსპოთ, ასეთი საძაგელი უსამართლობა.

— თქვენ წაგვიყვანთ ჩვენ დედ-მამასთან? — ჰკითხა მოკრძალებით პატიამ.

— მე ვერ მოვახერხებ? ჩემ ჯარის კაცებთან უნდა დავრჩე. მითხარით თქვენი გვარი, იქნება რამე გიშველოთ.

— გვარი? მე ლილას მემახიან, დას კი — პოლლია ჰქვიან, მამას სიას ეძახდენ, დედას კი სარჩას. გვარი არა გვაქვს. ჩვენ ვცხოვრობდით ბოილთან კენტუკში, მან ბანქოს თამაშში წაგვაგო და გემზე გადაგვიყვანეს, სხვა არა ვიცი რა. აბა რა ჯანდაბათ მინდა თავისუფლება, თუ ჩემ დედ-მამას ვერ ვიპოვნი?

კაპიტანი გელდორნი მწუხარეთ დაკუურებდა მიწას. პლანტატორები განგებ არ აძლევდენ ზანგებს გვარს, რომ უფრო მოხერხებულათ დაეშორებინათ ისინი ერთმანეთისათვის. კაპიტანმა აუხსნა ბავშს, რომ ვერაფრით უშველის და საბრალო პატიაც, ყოველივე იმედ დაკარგული, თვალ ცრემლიანი გაშორდა მას

ჯარი გაემზადა ქალაქ ბელვილში, შეშინებულმა ზანგებმა, რომ ხელ ახლათ მონებათ არ გაეხადნათ მათ ბატონებს, აიკიდეს თავიანთი გუდა-ნაბადი და ჯარს უკან გაჰყვენ. ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ჯან საღმა მონებმა ანებეს თავი პლანტაციას და როდესაც ზედამხედველმა ჰკითხა ბატონს: განა მოითმენთ მონების გაქცევასაო. ტაილგრავმა მწარეთ ჩაიქნია ხელი, მერე ჩამოხტა ცხენიდან და პირველათ თავის სიცოცხლეში თავისი ხელით თითონვე შეიყვანა ცხენი საჯინიბოში, შემდეგ შევიდა სახლში და ჩაიკეტა თავის ოთახის კარები.

#### ნ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

# საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან.

პირველი წერილი. შერომელი ხალხის ისტორია.

(გაგრძელება).

IV. საზოგადოების დაბადი და მაღალი კლასები.

**W**აზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე მდიდარსა და ღარიბს შორის დიდი განსხვავება არაა. მდიდარი კიდევ ღებულობს პირადს მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში და იმგვარისავე უფლებით სარგებლობს, რომელსაც მის ღარიბს თანამოგვარეებს სანათესაო კავშირის ცხოვრება ანიჭებს.

ძველის-ძველიათ საბერძნეთში თვით მეფის შეილები და გამოჩენილი გმირებიც-კი თხებსა და ცხვრებს მწყესავდენ; ხოლო მეფის ქალები თავისი მოახლეებითურთ მდინარის პირზე დაიარებოდენ სარეცხავად; დედოფალი მოახლეებთან ერთათ ჰკერძოდა და მეფე საკუთარის ხელით იმზადებდა სკამლოვინსა და სხვა-და-სხვა გვარს საოჯახო სამკაულს.

ამგვარივე ცხოვრების სიმარტივე არსებობდა ძველს რომაელებს შორისაც: სახელგანთქმული მეომრები თვითონ ხნავდენ და ჰბარავდენ საკუთარს მიწას, ხოლო გამოჩენილი სარდლები ხშირათ საკუთარი ხელით იმზადებდენ საჭმელებს.

მაგრამ სადაც კი სამეურნეო ცხოვრება საქმაოთ განვითარდა, ხოლო ადამიანთა კავშირები თანდათან გაიზარდა და გაფართოვდა,—იქ პირვანდელი მცირე განსხვავება მდიდარსა და ღარიბსა, ძლიერსა და სუსტს შორის მთელ უფსკრულად გადაიქცა.

ვისაც მცირე შეძლება ჰქონდა, ვინც ვალდებული იყო არა მარტო თავისთვის, არამედ სხვის მაგივრათაც ემუშავნა,— ამისთანა პირების მთელი შრომა ყანების შემუშავებასა და საქონლის მოვლას უნდებოდა; იგინი ეხლა ვეღარც ამში ღებულობდენ მონაწილეობას და ვერც სახალხო კრებებში, სადაც ყოველგვარი საზოგადოებრივი საკითხები წყდებოდა. ამგვარათ იგინი ძალაუნებურათ შორდებოდენ პოლიტიკურ ცხოვრებას, რომლის ხელმძღვანელობაც შეძლებული პირების ხელში გადადიოდა. ეს შეძლებული პირები სცვლიდენ კანონებს, როგორც მათი ინტერესი მოითხოვდა, იგინივე ადლევდენ ძველ ადათებს თავიანთ სასარგებლო განმარტებას,— რადგან ახლა მთელი ძალაუფლება მათ ხელში იყო. მდიდრებისა და შეძლებულების წრიდან გამოდიოდენ კანონების „დამცველი“ მოსამართლებიც, რომელთაც უმთავრესათ მდიდრების მხარე ეჭირათ. ღარიბს არსად აღარა რჩებოდა თავ-შესაფარი მდიდრის მხრივ ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, და იგი იძულებული ხდებოდა რომლისამე მდიდრისა და შეძლებული პირის მფარველობისათვის მიგმართა; ამიტომ თავისუფლებაზე ხელს იღებდა, რომელსამე მდიდარსა და ძლიერს პატრონ-ბატონს იჩენდა,— და მაშინ სრულიად ჰკარგავდა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებას. სამგიერო მდიდარ-შეძლებულები, რა კი საზოგადო საქმეებს ხელში ჩაიგდებდენ, თავის თავს ისე უწყებდენ ცქერას, როგორც მხოლოდ პოლიტიკურისა და სამხედრო საქმეებისათვის მოწოდებულ ჯგუფს ანუ წოდებას, თანდათან შორდებოდენ თავის თანამეტომე ღარიბ მიწის-მუშებსა და ხელზე მოსამსახურეებს და, ამგვარათ, აღგენდენ ეგრეთ წოდებულს „წარჩინებულ“ კლასს ან „მაღალ“ წოდებას.

როცა უბრალო ხალხზე გაბატონდება მმართველი, წარჩინებული წოდება სცდილობს გარეგანის „ნიშნებით“ ყველას აგრძნობინოს, რომ საზოგადოებაში მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ეს პატივ-მოყვარეობითი მისწრაფება თანაბრათ ემჩნევა ყველა დროისა და ყველა ქვეყნის წარჩინებულ წოდებას.



## საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული 43

მაგალითად წარჩინებული ველური გავაელები თავის თავის განსხვავების ნიშნათ ტანზე ბევრს ტანსაცმელს იცმენ; იგრე-თვე კუნძულ ტაიტის მაღალი წოდების წარმომადგენელნიც ტანზე მთელ გარდერობს ატარებენ. ზოგიერთი ქვეყნის წარ-ჩინებულ პირებს ჩვეულებად აქვთ დიდრონი ბრჩევლების და-ჟენება ხელების ყველა თითებზე, ზოგს სხეულის უზომო სიმ-სუქნე და სხვ.

კარგმა სმა-ჭამამ და მოსვენებით ცხოვრებამ წარჩინებუ-ლი წოდების წევრებს თანდათან სხეულის განსაკუთრებული თვისებანი შესძინა: მათი კანი ნაზი და მოელვარე გახდა, პი-რისახე იხელი და სხეულის აგებულება შნოიანათ მოყვანილი. რამდენიმე თაობის შემდეგ, მაღალი წოდების ხალხს თით-ქოს ბუნებაც-კი გამოეცვალა, დაბალი ხალხის უზომო შრო-მისაგან დაჩიავებულისა და დაბექავებულ ბუნებისაგან განსხვა-ვებული შეიქნა. ფიჯის კუნძულის მცხოვრებთა შორისო,— ამბობენ მოგზაურები, — მაღალი წოდების წევრები ირჩევიან „მაღალის ტანით, მშვენიერის ავებულობითა და ძლიერის კუნთებით; უბრალო ხალხი კი მეტათ გამხდარ-გაყვითლებუ-ლი და მძიმე შრომით დაბექავებულია“. — ხოლო ერთი მეც-ნიერი, შუა აფრიკაში, მოგვითხრობს: „მაღალი წოდების ქა-ლები ტან-მაღალი და მოხდენილები არიან; მათი კანი ნაზი და გამსჭვირვალეა, მათი სილამაზე — ხანგრძლივ დაუმჭკნარიო. მაგრამ თუ დაბალ ხალხს ავიღებთ, აქ შევხვდებით მხოლოთ წელში მოლუნულსა, დაბალი ტანისას და ზოგჯერ თითქმის მახინჯ სახეებსაო.“

რაკი ასეთი გარეგნული განმასხვავებელი თვისებანი შეი-ძინეს, მდიდრებმა და შეძლებულმა კლასებმა თავის თაეს ისე დაუწყეს ცქერა, როგორც განსაკუთრებული ბუნებისა და ჩა-მომავლობის მექონს. ამის შესახებ სხვა-და-სხვა ქვეყნებში მრა-ვალგვარი თქმულება დაიბადა. მაგალითად ძველი პერუელები (ამერიკაში) ამბობდენ, ვითომც ქვეყნის გაჩენის დროს ზეცი-დან სამი კვერცხი ჩამოვარდნილიყოს: ოქროსი, ვერცლისა და სპილენძისა. პირველისა და მეორიდან „კეთილშობილები“ გამოვიდენ, ხოლო მესამიდან — უბრალო ხალხით. საშუალ-

საუკუნეებშიაც ევროპელ „კეთილშობილთა“ შორის მტკი-  
ცეთ ფეხ-მოკიდებული იყო ის აზრი, ვითომც ღმერთს ქვეყ-  
ნის შექმნასთან ერთათ სამი მოდგმის ხალხი გაეჩინოს: აზნა-  
ური, სამღვდელო და მუშა, რომელთაგან უკანასკნელს ბედად  
უწერია განუწყვეტელი შრომა კეთილშობილთა სასარგებლოდ.  
საშუალ საუკუნეებში ზოგიერთი მგონები ლექსებსაც კი უძ-  
ლვნიდენ ამგვარს „გონივრულს წყობილებას“ და სახალხოთ  
მღეროდენ, რომ იმ წყობილების ძირითადი საფუძვლები თვით  
სამოთხეშიაც კი უცვლელი დარჩებაო, ე. ი. იქაც მდიდარ-  
სა და ლარიბ შორის, ბატონსა და ყმებს შორის იგეთივე გან-  
სხვავება იქნება, როგორიც სააქაო ცხოვრებაში არსებობსო.  
იყვენ ისეთი პოეტებიც, რომელთაც სწამდათ, რომ „სამოთ-  
ხეში ლარიბებისათვის ღმერთს ადგილი არა აქვს, რადგან არა  
ჰსურს—იგინი თავის მახლობლათ იყოლიოსო.“

ამგვარათ, ოდესმე თანასწორ წევრთა შორის მთელი უფს-  
კრული გაჩნდა, ერთმა განსხვავებამ—მეორე გამოიწვია და  
მთელი საზოგადოება ორ წოდებად გაიგლიჯა: ერთ მხარეზე  
დარჩენ გაბატონებულნი, ხოლო მეორეზე—მონა-მორჩილნი,  
ე. ი., როგორც პირველნი თავის თავს უწოდებდენ, „კე-  
თილშობილნი“ და „არა-კეთილშობილნი“, ან, როგორც ჩვე-  
ნები ამბობდენ, „აზნაურნი“ და „უაზნონი“. ჩვენებურ „კე-  
თილშობილთა“ შორის, ვგონებთ, დღესაც მოიპოებიან ისე-  
თი პირები, რომელთაც სწამთ, რომ თავად-აზნაურის სისხლიც  
კი სხვა ფერისა და სხვა მოდგმისაა, ვინემ გლეხ-კაცისა. ძვე-  
ლათ კი ამგვარ შეხედულებას კანონმდებლობაც კვერს უკ-  
რავდა და სასჯელს ან ჯარიმას („საურავს“) ადამიანის მკვლე-  
ლობისათვის იმის კვალობაზე ნიშნავდა, თუ როგორი „სის-  
ხლი“ იყო დაქცეული: გლეხისა, თუ აზნაურისა, გინა სამღვ-  
დელოსი. რა თქმა უნდა, გლეხის „სისხლი“ უფრო იეფად  
ლირდა, ვინემ თავად-აზნაურისა.

ს. გორგაძე.

# უგულო გაცმი.

(მონგომერისა)



IX

ერგემში ყველა ძალიან აღშფოთებულია. აგრე რვა საათია და ბავშები კი არსად ჩანს.

ჯერ ვირუინი არ შეწუხებულა, რადგანაც ხშირათ მოხდენილია უწინაც, რომ ბავშებს წინ გაუსწრიათ მისოვის და სადმე თავის საყვარელ ადგილას მიმალულან ხოლმე, მაგრამ მერე, როცა ჩაის დრო მოახლოვდა, ბავშები კი არსად იყვენ — ის შეშინდა და გასწია მათ საძებნელათ. შიში კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა ბავშები ვერც სარეცხავ ოთახში ნახა, ვერც ბაღში, ვერც ძალლის პატარა სახლთან, და მთლათ სასოწარკვეთილებათ გადაექცა, როცა სწორეთ ამ დროს საშინელმა წვიმამ დაუშვა.

ვირუინი დაბრუნდა სახლში და ყველა მოსამსახურეები დაიბარა, რომ მათთან ერთათ გადაეწყვიტა, რა ექნა. საცოდავი სულ თმას იგლეჯდა და იმეორებდა: ვილლის რაღა გადაარჩენს ცოცხალს, ასეთ წვიმაში თუ გარეთ არისო.

მებალე ერთ მხარეს გაგზავნეს, მეეტლე მეორეს, შზარე-ული მესამეს. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს ორივე პატარა დამნაშავე. ერთმანეთს მიხუტებული ისინი ერთ დიდ ჩირგვს ქვეშ იჯდენ თხრილში; ჯორჯი თავმომწონეთ იმეორებდა, ეს თავშესაფარი მე გამოვნახეო.

— ტბასთან ისე მხიარულათ გავატარეთ ღრი, რომ  
 ვერც კი შევნიშნეთ, რომ გვიანდებოდა! — უამბო ყველას  
 ჯორჯმა. — უცებ დავინახე, რომ მზე ჩასულიყო მაშინვე სა-  
 ხლში გამოვიქეცით, მაგრამ გზა დაგვებნა. ერთი დიდი ბოვ-  
 ში შეგვხვდა და კარგ გზაზე გამოვიყვანა. მაგრამ ამ ღრის  
 წვიმა მოვიდა. შემეშინდა, ვილლი არ გაცივებულიყო. დავა-  
 ჯინე ჩირგვს ქვეშ და შეც გვერდში მოვუჯექი. მერე პეტრე  
 მოვიდა და გვნახა.

ვირუინი ისე გატაცებული იყო ვილლის მოვლით, რომ  
 ჯორჯს არც კი გასწურომია. მაშინვე ჩაწვინა პატარა ბავში  
 თბილ ლოგინში და ცხელი ჩაი დაალევინა.

მაგრამ ყველა ამან ვერ უშველა ვილლის. მთელი ლამე  
 საშინლათ ახველა, დილას კი გული ასტკივდა. ვირუინის შე-  
 ეშინდა, ფილტვების ანთება არ მოუვიდეს და მაშინვე ექიმი  
 მოაყვანინა. ექიმმა ვილლის ადგომის ნება არ მისცა და რა-  
 ღაც წამალი გამოუწერა.

მთელი დილა ჯორჯმა ძმის ლოგინთან გაატარა, მერე  
 კი ვირუინიმ ოთახიდან გააგდო, რადგანაც ვილლის ისევ ხვე-  
 ლება დააწყებინა და სიცხეც მისცა. ხელახლავ მოაყვანინეს  
 ექიმი.

ჯორჯი თავის თავს დამნაშავეთ გრძნობდა; თავ ჩაღუ-  
 ნული და მოწყენილი ის ბალისკენ გაემგზავრა.

უძმოთ მას არაფერი არ ასიამოვნებდა, არაფერი არ ეხა-  
 ლისებოდა, ამიტომ სირბილის და თამაშის მაგიერათ ბალში  
 მან ჩაფიქრებით დაიწყო წინ და უკან სიარული. ბალის ერთ  
 მხარეს სარეცხავი ოთახი იყო და მის ფანჯარასთან დოლლი  
 იჯდა. დაინახა თუ არა დოლლი, ჯორჯი მიუახლოვდა მას  
 და საუბარი გაუმართა.

დოლლი ერთათ-ერთი ბდამიანი იყო, რომელსაც ჯორ-  
 ჯი ისეთ ღრის ენახა, როცა ბავში სწუხდა და ტიროდა. ერთხელ,  
 როცა სერ ევერარდის ცოლი ახალი მკვდარი იყო,  
 ჯორჯი სამრეცხაო ოთახის ფანჯარასთან იჯდა და ბალში  
 იყურებოდა. მაშინ ბალში, მის ფანჯრის ახლოს, ჯორჯის  
 პატარა ბოსტანი იყო. ბოსტანში ჯორჯს თავისი დედისთვის

სალათა და მდოგვი დაეთხესა. ყოველ დილას დაღიოდა და ათვალიერებდა ბავშვი თავის ბოსტანს, უნდოდა დედისთვის საუზმეზე თავისი საკუთარი სალათა მიერთმია, მაგრამ არც სალათა და არც მდოგვი არ ამოღიოდა, გვალვიანი ზაფხული იყო და ყველა მცენარეები ძნელათ იზრდებოდა. ბოლოს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც ჯორჯის დედა კუბოში ჩასვენეს და სახლიდან წაიღეს, შეწუხებული და დაღვრემილი ჯორჯი ერთხელ კიდევ შევიდა თავის ბოსტანში და უცებდაინახა, რომ სალათა ამოსულიყო და გადაშლილიყო.

— რათ მინდახარ ახლა, ნეტავი სულაც არ ამოსულიყავი! — სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა მაშინ ჯორჯმა და მწარეთ აქვითინდა.

აი, სწორეთ ამ დროს უყურებდა მას ფანჯრიდან დოლოი — და მას აქეთ საშინლათ შეუყვარდა ბავშვი და ყოველთვის უდგებოდა მას, როცა კი ვინმე უწყრებოდა.

იმ მწარე ქვითინის შემდეგ არ გაუვლია ერთ საათს, რომ ჯორჯი მინდორში დარბოდა და ბატკნებს ეთამაშებოდა. ამ დროს კი მას ფანჯრიდან მამა უყურებდა და ჰუკებდა: „რა უგულოა ეს ბავშიო!“

ახლაც, დოლლიმ რომ ჯორჯი მოწყენილი დაინახა, ათასი საქმე გაუჩინა. ჯორჯიც გაერთო. ჯერ გატაცებით დაუწყო დოლლის სარეცხის ჯანდვრაში დახმარება, მერე კი საპნის ბუშტების კეთებას შეუდგა. რასაკვირველია, ჯორჯს არ დავიწყებია გამოეცხადებინა დოლლისთვის, რა ბედნიერებაც მოელოდა მას მომავალ პურის-მკის დღესასწაულზე, და დიდი ცნობის მოყვარეობითაც გამოიძია, რა კაბას ჩაიცვამდა დოლლი ამ დღესასწაულისთვის.

— ძალიან უნდა მოირთო, იცი, ძალიან! — რამდენჯერმე გაუმჯობარება მან.

დოლლიც დაპირდა, ახალ კაბას შევიკერავო და რჩევა ჰყითხა, რაფერი ჩითი ვიყიდოო.

ჯორჯმა გაიხსენა მშვენიერი სათუთუნე, წითელი ტყავის, ოქროს ვარაყიანი, რომელიც მამას აჩუქეს მან და ვილლიმ და ურჩია დოლლის, წითელი კაბა იყიდე ოქროსფერი

ზოლებითო. დოლლიმ თქვა, ვაი თუ მაგნაირი ჩითი ვერსად ვიშვოვო.

— ყვითელი კაბაც ლამაზი იქნებოდა, სწორეთ პურის თავთავის ფერი! — დაფიქრებით წაილაპარაკა ჯორჯმა.

დოლლი დაპირდა, ვეცდები წითელი ზოლებიანი ყვითელი ჩითი ვიშვოვო, და თუ ვერა — მაშინ ყვითელს ხომ უსა-თუოთ ვიყიდო.

დაღამდა. ჯორჯი გაკვირვებით დარწმუნდა. რომ მას ჩაის დასალევათ არავინ უძახოდა, მოწყვიტა რამდენიმე ბოლოკი ვილლისთვის, გამოეთხოვა დოლლის და თითონვე მოჰკურცხლა სახლისკენ.

თავისი და ვილლის ოთახის კარებს რომ მოადგა, ნახა, რომ კლიტით იყო დაკეტილი. ჯორჯმა მიარახუნა.

— ვილლი! ვილლი! — ხმა მაღლა დაიძახა მან. — ბოლო-კები მოგიტანე! ვირუინი! კარი გამიღეთ!

კარი მართლაც გაიღო და ჯორჯს წინ გაბრაზებული ვირუინი წარუდგა. ჯორჯმა მაშინვე შეატყო, რომ ვირუინი საძაგელ გუნებაზე იყო, რადგანაც ამ უკანასკნელს ორივე ყბა ახვეული ჰქონდა. როგორც კი ვირუინის რამე შეაწუხე-ბდა და გააჯავრებდა, ის ყბებს აიხვევდა ხოლმე. ბავშები ვერ მიმხვდარიყვენ, რა მიზეზით და რა მიზნით შვრებოდა ამას, ეს კი ნამდვილათ იცოდენ, რომ ყბა ახვეული ვირუინი ბევრათ უფრო ავი იყო, ვიდრე ყბააუხვეველი. ამიტომ ახლაც ჯორ-ჯი შეშფოთდა და მოუთმენლათ ელოდა, რას ეტყოდენ.

ვირუინიმ მართლაც ბევრი რამ უთხრა, მაგრამ ისე ჩქა-რა და ისე გაურკვევლათ, რომ ჯორჯმა ნათქვამის ნახევარიც ვერ გაიგო. მან გაიგო მხოლოთ ის, რომ ვილლი ძალიან ავათ იყო, რომ ექიმი ამბობს, ვარ თუ ვერ გადარჩესო, რომ შველა ამაში ის, ჯორჯი, იყო დანაშაული... რომ ახლაც, ის იყო ვილლის ჩაეძინა და მან, ჯორჯმა, გააღვიძა... რომ ახლა ის საღაც უნდოდა, იქ უნდა წათრეულიყო და ვილლის აღარ მიჰკარებოდა.

ამ სიტყვებით ვირუინიმ კარები მოახეთქა და საწყალი ჯორჯი თავისი ბოლოკებით მარტო დატოვა.

საშინელი უბედურათ იგრძნო ჯორჯმა თავი, როცა  
ვირუინის ნათქვამს ჩაუფიქრდა.

— „ვილლი ისეა ავათ, რომ ვაი თუ ვერ გადარჩეს!“ — მხოლოდ ეს აზრი უტრიალებდა მას ახლა თავში და ოდგი-  
ლიდან ვეღარ დაძრულიყა. რამდენჯერმე მან შეიჭრიტა კა-  
რებში, მაგრამ ვერაფერი დაინახა, მერე გაწვა იატაკზე, კა-  
რებს ყური მიადვა და ცდილობდა, რამე გაეგონა. მაგრამ ვე-  
რაფერი ვერ გაიგონა. „ვილლი ავათ არის, ვილლი ვაი თუ  
მოკვდეს!“ — ისევ და ისევ უტრიალებდა ეს აზრი თავში  
ჯორჯს. ჯორჯმა კარგათ იცოდა, რა იყო სიკვდილი, მას  
შემდეგ, რაც დედა მისი კუბოში ჩადვეს და სამუდამოთ წაი-  
ლეს მათი სახლიდან, და ამიტომ უფრო აშინებდა და ძარღვებ-  
ში სისხლს უყინავდა ვირუინის სიტყვები. ვილლი ვეღარ გა-  
დარჩება! ვილლი კვდება! ბავშვა ვეღარ აიტანა ამდენი მწუ-  
ხარება; მას გულს უკლავდა ვილლის ავათმყოფობა, აშფო-  
თებდა ვირუინის გაწყრომა, აწუხებდა სვინიდისის ქენჯნა პი-  
რობა რომ არ შეუსრულა მამას, აშინებდა მამის მოსვლა და  
მისი საყვედური... თავზარ დაცემული ის დაეხეთქა იატაკზე  
და მწარე ქვითინი მორთო... თან თავის თავიც ებრალებო-  
და. არავის არ უყვარს, არავინ არ ჰუკიქობს მაზე, არავინ  
არ მოვა, რომ ანუგეშოს და დაამშვიდოს...

„ვილლი კვდება! იქნება მოკვდა კიდეც!“

აქ ჯორჯს ისე საშინლათ მოუნდა დედის დანახვა, მის  
კალთაში ჩაგორება, მის მკერდზე მიხუტება, რომ მისი პატა-  
რა გული კინალამ გასკდა მწუხარებისაგან... მან ხმა მაღლა  
წამოიკვნესა და ისევ აქვითინდა, მაგრამ მალე შეიკავა თავი  
და ეცადა, როგორმე გართობილიყო; დაიწყო ფიქრი თავის  
ბალზე, თავის სათამაშოებზე, თავის უწინდელ ცელქობაზე...  
მაგრამ ყველა ეს კიდევ უფრო ცხოვლათ უყენებდა თვალწინ  
პატარა ძმას, პატარა ავათმყოფ ვილლის, და კიდევ უფრო  
უკლავდა გულს.

რა დაცარიელებული, რა საშიში იყო ახლა ეს უზარმა-  
ზარი სახლი! არსაიდან არაფერი ხმა არ ისმოდა, არსად არა-  
ვინ ჩნდა! ქვედა სართულში კიდევ უფრო სიჩუმე და სიცა-

რიელე იყო, ჯორჯმა ეს კარგათ იცოდა, მაგრამ ისე მოუნდა დედის სურათის ნახვა, რომ სწრაფათ ჩაირბინა კიბეზე და დაბნელებულ სასტუმრო ოთახში შეირბინა.

დარაბების ჭვრიტიმალებში სულ ცოტა სინათლე შემოდიოდა, მაგრამ ჯორჯმა მაინც გაარჩია საყვარელი სახე. ის გაიშელართა პატარა დივანზე, რომელიც სურათის ჭვეშ იღვა და ტირილით წამოიძახა:

— დედა, დედა, შემიბრალე! ყველა მიწყრება, ყველა მაგდებს, არავინ მიკარებს! დედა, ჩემო დედა, დაბრუნდი, დაბრუნდი ჩემთან! — მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა, სურათზე კი, ორივე, დედა და პატარა ბავში მის კალთაში, ნაზათ და მხიარულათ იღიმებოდენ. ჯორჯს მათვის თვალები არ მოუშორებია, სანამ ოთახში მთლათ არ ჩამობნელდა; ის ცდილობდა თავისი თავი სურათზე მოლიმარ პატარა ბავშათ წარმოედგინა და ხელ-ახლავ ეგრძნო ის, რასაც მაშინ გრძნობდა, როცა დედას კალთაში უწევა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოეხერხებინა. მას მხოლოდ ის წამები აგონდებოდა, როცა ის ამ ოთახში აშფოთებული ან შეწუხებული შემოირბენდა და როცა დედა ყოველთვის ანუგეშებდა და დაამშვიდებდა ხოლმე. მაგრამ ყველა ესეც გაქრა, გაქრა სამუდამო!

ბოლოს ბავშს ჩაეძინა. მოსამსახურე ქალმა, ჯენმა, იპოვა ის ერთ-ორ საათს იქით და შძინარე გადაიტანა მის ლოგინში.

## X

მეორე დილას ჯორჯს ძალიან გვიან გაელვიძა. მზის სხივებმა, რომლებიც ფანჯარაში შემოიჭიოტებოდენ, უცებ გაამხიარულა ბავში. მან მიიხედ-მოიხედა და ძალიან გაუკვირდა, რომ თავის ოთახში არ იწვა, მაგრამ ყველაფერი მოაგონდა და გული ისევ აუკვნესდა.

კარი გაიღო და ოთახში ჯენი შემოვიდა.

— ძლიერ არ გაგეღვიძათ! — უთხრა მან ბავშს. — რამდენი ხანია, ვილლი გკითხულობსთ!

— როგორ არის ვილლი? — სწრაფათ ჰკითხა ჯორჯმა.

— მადლობა ღმერთს, სულ კარგათ არის.

წუხელი ჯენმა კარგათ შენიშნა, რა ნამტირალევი და შეწუხებული სახე ჰქონდა მძინარე ბავშს, და ახლა ძალიან გახარებული იყო, რომ მისი დამშვიდება შეეძლო.

ჯორჯმა სიხარულით ერთ წამში ჩაიცვა და მაშინვე ვილ-ლისთან გაჰქანდა.

არაოდეს არ ყოფილა ჯორჯი ისე მხიარული, როგორც ამ დილას. ის ვილლის ლოგინთან იჯდა და სულ ლაპარა-კობდა, სულ ხუმრობდა, სულ იცინდა, გუშინდელი მწუხა-რება აღარც კი აგონდებოდა. მშვენიერი დღე იყო, მზე ბრწყინავდა, ბუნება ხარობდა, ვილლი კარგათ იყო, მამა მა-ლე უნდა მოსულიყო... სხვა რაღა უნდა ნდომოდა ჯორჯს?

ყბებ-შეხვეული ვირეუნი გაკვირვებით და წყრომით მიჩე-რებოდა ამ „უგულო ბავშს“, რომელმაც კინალამ მოჰკლა თა-ვისი ძმა და არც კი ნანობდა ამას.

ჯორჯი ოთხში არ იყო, როცა სერ ევერარდი მოვიდა. ვილლის გამხდარმა სახემ და აწითლებულმა ლოყებმა მას მი-ცვალებული ცოლი მოაგონა და გულში შიში გაულვიძა, ვაი თუ ესეც ისე დავკარგო, როგორც ადელიადაო. ამიტომ მან არაჩვეულებრივი ყურადღებით მოისმინა ყველაფერი, რაც კი ვირეუნიმ ჯორჯზე უამბო და გადაწყვიტა, სასტიკათ დაესაჯა თავისი უფროსი ვაჟი. ის ნაზათ მოეალერსა ვილლის, მერე წიგნთ-საცავ ოთახში წავიდა და მსახურს უბრძანა, ჯორჯს დაუძახეო. ცოტა ხანს იქით კარი ბრახუნით გაიღო და ოთა-ხში მხიარულმა, მოლიმარმა ჯორჯმა შემოირბინა. სერ ევ-რარდს არ უყვარდა თავისი შეილების გაწყრომა და მათი დასჯა, მაგრამ ჯორჯის უზრუნველმა სახემ, მისმა სიმხიარუ-ლებ ასეთ დროს, როცა ვილლი ის იყო ძლივს გადარჩენი-ლიყო სიკვდილს, ის მოთმინებიდან გამოიყვანა.

— რა ამბით მორბიხარ? — წყრომით ჰქითხა მან შვილს.

ჯორჯი ბალში მუშაობდა, როცა უთხრეს, სერ ევერარ-დი გიძახისო; მამის მოსვლამ ისე გაახარა, რომ სულ დააგიწ-ყა შეუსრულებელი დაპირება და მოსალოდნელი საყვედური, და ამიტომ ახლა ის გაკვირვებით მიჩერებოდა მამის შეჭმუხ-ვნულ წარბებს.

— ვითომ არ გესმის, რაზედაც გიშერები! — კიდევ უფრო სასტიკათ უთხრა სერ ევერარდმა. — შენი საწყალი პატარა ძმა შენი წყალობით ავათ არის, შენ კი თითქო აქ არაფერიაო! რატომ არ შესარულე ის, რაც დამპირდი? რატომ წახვედი ტბასთან? მეორეთ რომ ეს აღარ გამეორდეს, გესმის? მეორეთ აღარ მოგიტევებ და სკოლაში მიგცემ, პანსიონში! ვინც სახლში თავის დაჭერა არ იცის, პანსიონში უნდა იყოს, გესმის თუ არა?

ჯორჯს ესმოდა. სახე მთლათ აუწიოთლდა, ტუჩები აუკანკალდა, მაგრამ ის არას ამბობდა. ეშინოდა, ვაი თუ თავი ვერ შევიკავო და ავტირდეო.

— უოველ კვირას ერთი და იგივე მესმის შენზე ვირუინისაგან, ჯორჯ! — ცოტა ალექსიანის ხმით განაგრძო სერ ევერარდმა. — არაფერი, არაფერი არ მოქმედობს შენზე! ნუ თუ აქამდის ვერ გაიგე, რომ ვილლი ძალიან სუსტია და ძალიან გაფრთხილება ეჭირვება? შენ კი გაფრთხილების მაგიერათ სულ იმას ცდილობ, რომ გააცივო და ავათ გახადო. ხომ კინალამ მომკვდარა წუხელი!

ჯორჯმა თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა. მამის სიტყვებმა წუხანდელი მწუხარება მოაგონეს.

სერ ევერარდი მთლათ მოლბა, ჩაისვა ჯორჯი კალთაში და ალერსი დაუწყო.

— კმარა, კმარა! — სიყვარულით ეუბნებოდა ის შვილს და ხუჭუჭ თმაზე მოფერებით ხელს უსვამდა. — რა გაეწყობა! ეცადე შხოლოთ, რომ აწი აღარ მოიქცე ცუდათ, ჩემო ჯორჯ. გეყოფა, კმარა, ნუ ტირი, მოდი ერთი მაკოცე და მერე წადი, ითამაშე!

ჯორჯმა ასწია ზევით თავისი ნამტირალევი სახე და მხიარულათ აკოცა მამას.

ერთ წამს იქით ის უზრუნველათ დარბოდა და თამაშობდა ეზოში.

ელ. წერეთელი.  
(შემდეგი იქნება)

საქართველო  
პილიტონი

# ლარიბების მეგობრები.

VI



მუშათა მოძრაობაზე გაცილებით მეტი გავლენა იქონია ინგლისელმა რობერტ ოვენმა, რომელიც სენსიმონისა და ფურიეს თანამედროვე იყო.

რობერტ ოვენი დაიბადა ინგლისის პატარა ქალაქში 1771 წელს. მამა მისი უბრალო ხელოსანი იყო. ამიტომ ფურიესავით ოვენს არავითარი განათლება არ შეუღია და წერაკი-თხვა ისწავლა თუ არა, მაღაზიაში მიაბარეს შეგირდათ და შემდეგ ნოქრათ გახდა. იხალგაზრდა და ოვენი მიიწვიეს ნიულანდარკის ფაბრიკის გამგეთ. ფაბრიკა ძალიან დიდი იყო, მუშების რიცხვი სამიათასამდე აღიოდა; მაგრამ ყველა ეს მუშები თავისი ცხოვრებითა და ზნეობით მეტათ გლახა სურათს წარმოადგენდენ. ყოველგვარ განათლებას მოკლებული იყვენ და ამიტომ არავითარი გონებრივი მოთხოვნილება მათ არა ჰქონდათ. მთელ თავისუფალ დროს ლოთობაში და გარეუცნილებაში ატარებდენ; ისეც მცირე შემოსავალს ამგვარათ ფლანგავდენ და რიგიან საცმელს, საჭმელსა და სადგომს მოკლებული იყვენ. მუშებში გახშირებული იყო ქურდობა; ფაბრიკის პატრონებსა და მათ შორის არავითარი ადამიანური ურთიერთობა არ არსებობდა გარდა მტრობისა. ძველი გამგები სასტიკათ ეპყრობოდენ მუშებს, ქურდობისათვის სასტიკათ სჯიდენ და უზომო შრომით არაქათ აცლიდენ. მუშებს წარსულში არასფერი ჰქონდათ სანუგეშო, მომავალში აუტანელ შრომისა და სიღატაკის მეტს არასფერს მოელოდენ

და ამიტომ თავის შემცირებას ლოთობაში ჰქლავდენ და რა-  
საც შოულობდენ, სამიკიტნოებში სტოვებდენ. ოვენმა მოს-  
ვლისათანავე მიზნათ დაისახა მუშების აღზრდა, მათი ზეობ-  
რივათ ამაღლება და მათი ცხოვრების გაუმჯობესება, მაგრამ  
მუშებმა მეტათ მტრულის თვალით შეხედეს; ისინი არც იყ-  
ვენ გასამტყუნარი: რაც ძველი უფროსებისაგან გამოსცადეს,  
იმას ელოდენ ოვენისაგანაც და ამიტომ ყოველ იმის ნაბიჯს  
ეჭვის თვალით უყურებდენ. რაც უნდა განეჭრახა ოვენს მუ-  
შების სასარგებლოთ, მუშები ჰფიქრობდენ: ჩვენ გვატყუებს,  
თორემ რა ჩვენი დარღი აქვს, ეგ აქ თავისი ჯიბის გასასქე-  
ლებლათ არის მხოლოდ მოსულიო. ოვენის ალაგას სხვას  
გული გაუტყდებოდა და მუშების ცხოვრების გაუმჯობესებისა  
და მათი ამაღლებისათვის ზრუნვას სრულებით დაანებებდა.  
თაქს, მაგრამ ოვენი მხნეთ განაგრძობდა თავის საქმეს და  
დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს ის გაიმარჯვებდა. ოვენმა  
ნელანელა მოუმატა მუშებს ხელფასი, სამუშაო ღრო შეუმ-  
ცირა, სადგომები გაუუმჯობესა. მუშებმა დაინახეს, რომ ეს  
კაცი მართლაც ზრუნავდა მათთვის, სხვა უფროსებს არა ჰგავ-  
და და ამიტომ არათუ მისდამი ნდობით აღიჭურვენ, თანდა-  
თან შეიყვარეს კიდეც. ქურდობისათვის ოვენმა ყოველგვარი  
სასჯელი მოსპო. როცა მუშას ქურდობაში დაიჭრდა, ამხანა-  
გებთან არასუერს ეტყოდა, თავის სახლში დაიბარებდა და  
ტკბილის სიტყვით არიგებდა. ლოთობის წინააღმდეგ მოიგო-  
ნა ოვენმა სხვა და სხვა გასართობები მუშებისათვის. რამოდენი-  
მე წლის განმავლობაში მუშები სულ გამოიცვალენ; ქურდო-  
ბა, ლოთობა და გარყვნილება მოისპო. მუშების მდგომარეო-  
ბა და ცხოვრება ამის შემდეგ ერთი ათათ გაუმჯობესდა. მა-  
შინ ოვენმა ეს ფაბრიკა საკუთრათ იყიდა. ააშენა მუშებისა-  
თვის კარგი სადგომები, დაუმწესა მათ საპენსიო კასსა, საიდა-  
ნაც მოხუც ან დასწეულებულ მუშას პენსია ეძლეოდა; დაარ-  
სა იაფ-ფასიანი სასადილოები, საცა ნოყიერი და საღი-  
ლი მუშებს ძალიან იაფათ უჯდებოდათ. გახსნა მუშებისათვის  
საავათმყოფო, სამკითხველოები; მათი ბავშებისათვის დაარსა.  
სკოლა და ყველა ამ საშუალების წყალობით არა თუ მუშე-

## დარიბების მეგობრები

ბის ცხოვრება სრულებით გამოიცვალა, ოვენსა და იმის ფაბრიკას ისე გაუვარდათ მოელს ინგლისში სახელი, რომ ყოველწლივ ათასობით მიღიოდენ სხვა და სხვა პირები ფაბრიკის დასათვალიერებლათ.

რობერტ ოვენი დარწმუნდა, რომ მუშა ხალხის ცხოვრების შეცვლა არ იყო ძნელი საქმე, მისი აზრით ეს ყოველმეფაბრიკებს შეეძლო და ამიტომ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, რომ თავისი აზრები და დაკვირვება სხვებისათვისაც გაეზიარებია და ესწავლებია, თუ რა არის საჭირო მუშა ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. რობერტ ოვენმა თავის მიზანს მიაღწია მუშების ხასიათის აღზრდით. სანამ მუშები ლოთები იყვენ, გარყვნილები, ქურდები, გაუნათლებელნი, მათი საქმეც გლახათ მიღიოდა და ფაბრიკისაც; როცა ოვენმა ისინი აღზარდა, მათ ხასიათი და მიღრეკილება გამოუცვალა, მათი ცხოვრებაც გაუმჯობესდა და ფაბრიკის საქმეც კარგათ წავიდა. ამიტომ თავის ნაწერებში ოვენმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია ხასიათის აღზრდას. ჩააყენეთ მუშები კარგ პირობებში, აღზარდეთ მათი ხასიათი და მაშინ მათი ცხოვრებაც გამოიცვლებაო, სწერდა ოვენი. ოვენის აზრით ეს საქმე უნდა ითავონ მეფემ, მინისტრებმა, პარლამენტმა და კაპიტალისტებმა. ოვენი სწერდა წერილებს მეფეებს, მინისტრებს და კაპიტალისტებს და ურჩევდა მათ: გამოიყვანეთ ხალხი უმეცრებიდან და სილატაკიდან. ოვენი თავისი მაგალითით უმტკიცებდა ყველას, რომ ამგვარის მოქმედებით მან მუშებსაც დიდი სარგებლობა მოუტანა და თავის საკუთარ თავსაც.

ოვენი მართლაც ამ დროს უკვე მიღიონების პატრიონი იყო. ოვენს ერთი რამ ავიწყდებოდა: იმას ეგონა, რომ ყველას იმდენათ შესტკიოდა ღარიბი ხალხისადმი გული, როგორც მას და დარწმუნებული იყო, რომ ყველას შეეძლო იმის გაკეთება, რაც მან გააკეთა. ოვენს არავინ არ აქციებდა ყურადღებას. როდესაც მუშების მდგომარეობა ინგლისში იმდენათ აუტანელი შეიქნა, რომ მთავრობა შეშინდა, მუშები არ აჯანყდენო, და მოინდომა რაიმე საშუალების გამონახვა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, კომისია აძლიერდება.

ამ საქმისათვის და კომისიის ერთ წევრათ ოვენი დანიშნეს. ოვენმა კომისიას წარუდგინა მთელი სოციალისტური პროექტი. ამ პროექტით მთავრობას უნდა დაენიშნა სამეურნეო და სამრეწველო კავშირები. თითო კავშირში უნდა ყოფილიყო ათას ხეთასი წევრი—მუშა. სამეურნეო კავშირს უნდა ჰქონდა ოთხასი დესეტინა სახნავი მიწა და ყოველგვარი იარაღები მეურნეობისათვის; სამრეწველო კავშირს—დიდი ფაბრიკა. მუშაობა ვალდებული უნდა ყოფილიყო ყოველი წევრისათვის; ისინი უნდა მდგარიყვნ საერთო სადგომებში. ნაწარმოები უნდა ყოფილიყო მთელი კავშირის საკუთრება; აქედან ყოველი წევრი მიიღებდა ყოველისფერს, რაც საჭირო იქნებოდა მისთვის და მისი ოჯახისათვის. ასეთ პირობებში შემოსავალი დიდი იქნებოდა, მუშების ცხოვრება საუცხოვოთ მოეწყობოდა ოვენის აზრით და სიღატაკეც მოისპობოდა. კომისიამ ოვენის პროექტს არავითარი ყურადღება არ მიიცია. მაშინ ოვენმა მოინდომა საზოგადოების მომხრობა. ინგლისში ამდროს პარლამენტი იყო. პარლამენტი კი საზოგადო აზრის გამომხატველია. თუ მთელი საზოგადოება ოვენის პროექტს მოიწონებდა, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ ოვენს პარლამენტის საშუალებით განხხორციელებია ის. ოვენმა გამართა ავიტაცია, მიტინგები, დაიწყო წერა, მაგრამ კაპიტალისტებმა ოვენს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ისინი ათასგარა ჭრებს ავრცელებდენ ოვენის წინააღმდეგ და ამტკიცებდენ: ოვენი ქვეყანას ატყუებს, ნამდვილათ კი თავისი ჯიბის გასქელებისათვის ზრუნავს; მისი პროექტი რომ განხორციელდეს, მთელი ინგლისი დაიღუპებაო და სხვ. ოვენს უნდოდა, დამტკიცებდია, რომ მისი პროექტი ინგლისს კი არ დაღუპავდა, არამედ გააბეღნიერებდა, და ამიტომ გასწია ამერიკაში, რომ აქ განხხორციელებია თავისი განზრახვა.

ამერიკაში ამდროს ძალიან ბევრი იყო თავისუფალი მიწა. იქ მან იყიდა ათი-ათასი დესეტინა. მიწა, დაარქვა ამ ადგილს სახელათ ნიუპარმონი და შეუდგა საწარმოვო კავშირის დაარსებას. მალე ოვენმა მოაგროვა ათასამდე ქალი და კაცი, რომლებმაც სურვილი განაცხადეს ნიუპარმონში დასახლებისა.

აშენეს სახლები, დაიარსეს სკოლები, წიგნთსაცავები, ხელი მოჰკიდეს მეურნეობას, მრეწველობას და ამგვარათ პირველით საქმე ძალიან კარგათ წავიდა. ქალებიც და მამაკაცებიც მუშაობდენ, მუშაობის შემდეგ ერთათ იკრიბებოდენ და ერთობოდენ. ქონება მათ საერთო ჰქონდათ, შემოსავალს თანასწორათ იყოფდენ. ამ პირველ მაგალითს სხვებმა მიჰმაძეს და მალე ამერიკაში ოცამდე ამგვარი კავშირი დაარსდა. აქელან ოვენი დაბრუნდა ისევ ინგლისში, რომ ამერიკის მაგალითით ემოქმედნა ინგლისის საზოგადოებაზე და იქაც დაეარსებია ამგვარი საწარმოვალი კავშირები. ოვენი შეუდგა აგიტაციას, წერას; ერთი კუთხიდან მეორეში მიღიოდა, ცველგან მიტინგებს მართავდა და თავის აზრებსა და შეხედულებას უზიარებდა ხალხს. ოვენის ასეთს გულმოდგინე შრომას ის შედეგი მოჰყვა, რომ ინგლისშიაც დაარსდენ ამერიკის მზგავსათ საწარმოვალი კავშირები. მაგრამ ამავე დროს ამერიკის კავშირების საქმე თანდათან უკანდაუკან წავიდა. რაც უფრო მატულობდა კავშირების შემოსავალი, ზოგმა სიზარმაცეს გაუსვა ხელი, ზოგმა კიდევ თავისი საკუთარი ჯიბისაოვის ზრუნვას; საერთო შრომა თანდათან მოისპო; ცველამ თავისათვის იწყო შრომა. ამას მოჰყვა საერთო საკუთრების მოსპობა, ცველამ კერძო საკუთრება გაიჩინა. კავშირებში უთანხმოება დაიბადა და ამგვარათ ამერიკის კავშირები თანდათან დაიშალენ და ბოლოს სრულებით მოისპენ: მათი წევრები ისევ ძველ ბინასა და ძველ ცხოვრებას დაუბრუნდენ. ინგლისშიაც იგივე ბედი ეწია ოვენის მიერ დაარსებულ კავშირებს. ოვენი მიუხედავათ ამისა გულს არ იტეხდა და დარწმუნებული იყო, რომ მისი მიზნის



ოვენი.

კავშირების შემოსავალი, ზოგმა სიზარმაცეს გაუსვა ხელი, ზოგმა კიდევ თავისი საკუთარი ჯიბისაოვის ზრუნვას; საერთო შრომა თანდათან მოისპო; ცველამ თავისათვის იწყო შრომა. ამას მოჰყვა საერთო საკუთრების მოსპობა, ცველამ კერძო საკუთრება გაიჩინა. კავშირებში უთანხმოება დაიბადა და ამგვარათ ამერიკის კავშირები თანდათან დაიშალენ და ბოლოს სრულებით მოისპენ: მათი წევრები ისევ ძველ ბინასა და ძველ ცხოვრებას დაუბრუნდენ. ინგლისშიაც იგივე ბედი ეწია ოვენის მიერ დაარსებულ კავშირებს. ოვენი მიუხედავათ ამისა გულს არ იტეხდა და დარწმუნებული იყო, რომ მისი მიზნის

განხორციელება შესაძლებელი იყო. მან მიმართა მუშებს და მოინდომა ისეთი საწარმოვო კავშირების დაარსება, რომელთა წევრებათაც მარტო მუშები უნდა ყოფილიყვენ. ოვენი დარწმუნებული იყო, რომ მუშა ხალხი საწარმოვო კავშირების საქართველოს მართვის წაიყვანდა. ამგვარის საქმისათვის საჭირო იყო ფული. მუშებს კი ერთბაშათ საქმაო ფულის გამოღება არ შეეძლოთ, რადგანაც მათი შემოსავალი იმათ ხარჯს ძლივსა ჰქონდა. ოვენმა მუშებს აუხსნა: თქვენ ხომ ჰყიდულობთ სასმელ-საჭმელს, ტანისამოსს, ფეხსაკმელს. გამოიღეთ პატარა ფული, გახსენით პატარა მაღაზია, ყველა ბუშებმა თქვენს მაღაზიაში იყიდეთ საქონელი, გარეშე მუშტარიც იყიდის; შემინდა შემოსავალი ყოველწლივ გადადევით და ბოლოს იმდენი მოგიგროვდებათ, რომ საწარმოვო კავშირების დასაარსებლათ გეყოფათ. მუშებმა დაიჯერეს ოვენის დარიგება, შეადგინეს ამხანაგობანი, გამოიღეს პატარა თანხა და გახსნეს საერთო დუქნები და მაღაზიები ამგვარ ამხანაგობებს დაერქვა მამხმარებელი ამხანაგობანი. ეს ახალი საქმე მეტათ ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა მამხმარებელ ამხანაგობებს საწარმოვო კავშირები არ დაუარსებიათ, მაგრამ ოვენის სიცოცხლეშივე ამგვარი ამხანაგობანი ინგლისში საშინლათ გავრცელდენ და ამ ამხანაგობების წმინდა შემოსავალი დღეს რამდენიმე მილიონს უდირის ყოველ წლივ. ამოდენა ფული მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრებას ჰქონდება. ოვენი გარდაიცვალა 1858 წ.


სენიმონს, ფურიეს და რობერტ ოვენს უწოდებენ უტოპისტებს, ე. ი. იმგვარ კაცებს, რომლებიც საოცნებო, საარა-ჯო, განუხორციელებელ საქმეს ეპოლინებოდენ. ცხოვრებაში რომ ბრძოლაა, ერთი ადამიანი მეორეს რომ ებრძვის და ერთი კლასი მეორეს — ამას ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევდენ და დარწმუნებული იყვენ, რომ რაკი მათ სიცუვას ხალხი შეიგნებდა, ყველა მოინდომებდა მათ მიზნის განხორციელებას და ისე ცხოვრებას, როგორც ისინი უჩჩევდენ.

რადგანაც ისინი კაცობრიობის კეთილ-დღეობისათვის საჭიროთ სთვლიდენ საერთო შრომის და საზოგადო საკუთრებას, ამიტომ მათ უწოდებენ სოციალისტებს. სოციალიზმის განსახორციელებლათ სამივეს საჭიროთ და საქმაოთ მიაჩნდათ მშვიდობიანი გზა, სიცუვა და ქადაგება; ძალის ხმარების, რევოლუციის სამივე წინააღმდეგი იყვენ და ამტკიცებდენ: ცხოვრების გარდაქმნა მხოლოდ ქადაგებით შეიძლება, ძალით არაფერი არ გაკეთდება.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

## მიჯაჭვული ამირანი.



(დებენდა რუსულიდან \*)

აიღუმლოებით მოცული დარიალის ხეობა შეზღუდულ-შევიწროებულია კავკასიონის ბუმბერაზ მთებით. ეს მთებიმრისხანეთ აყუდებული არიან ორივ მხრივ თავის მაღალის ნაპირებით. ამ უზარმატარ ზღაპრულ

ნაპრალში სუსტ და ულონო ქმნილებათ გრძნობს თავს აღამიანი. ყოველივე გარემო მისი დაღვრემილი და მრისხანეა!..

ხეობის შუაგულს, გმინვითა და ლრიალით, მოჩახხახებს სიბრაზით აქაფებული ჩქარი თერგი. მიისწრაფის ის საშინელის ძალ ღონით წინ და მიაგორებს ხეთქებით უშველებელ ქვებსა და ლოდებს, ცდილობს რა გაჰვლიჯოს საუკუნოებით მტკიცედ დამყარებულ-დამკვიდრებული კალაპოტი და თავი დააღ

\*) ეს ლეგენდა — ჩვენ ისებში გაგრილ ლეგენდისაგან განსხვავდება.

წილს შევიწროებულ მდგომარეობას. ამ საოცნებო მიღამოს სურათს მაღლა-მაღლა თავს დასტრიიალებენ არწივები და კი- დევ მაღლა ჰქონის და ლაპლაპებს, როვორც ვეებერთელა ალმასის ქვა,—მზის სხივებით გაბრწყინვებული თვალ-უწვდე- ნელი ყაზბეგი.

მთების გარემო, კლდე-ლრეები და მღვიმეები, სადგურია კავკასიის მხრის ტანჯულ ტიტანებისა \*), რომელთა შორის შესანიშნავია ხალხის ცნობილი და საყვარელი მეგობარი, დევ- გმირი ამირანი. ის ჩაუმწყვდევიათ ბოროტ ღმერთებს მთების ერთ ხრამში და მიუბამთ ჯაჭვით, რადგან წამებულ ხალხის მფარველი და მშველელი ყოფილა.

ერთხელ, როდესაც, ამ მიღამოებზე დაყიალებდა ერთი ვილაც გლეხი კაცი, ხელობით მწყემსი და თვალი მოჰ- კრა, რომ უცებ კლდე გაიპო და მის სივრცეში გამოჩნდა ჯაჭვით დაბმული უზარმაზარი ტანის ადამიანი, მთლად ტიტ- ველა და გათეთრებული. მთელი ტანი ბალნით ჰქონდა შემო- სილი და ხელ-ფეხზე წაზღილი ფრჩხილები კლანჭებათ გადაჭ- ცეოდა. მის მახლობლათ ეგდო უშველებელი ხმალი. გოლია- თი წახრილიყო და ცდილობდა ხმალი აეღო, მაგრამ ვერა ღონისძიებით ვერ ახერხებდა, რადგან მხოლოდ ნეკის წვე- რითლა ძლივ-ძლიობით სწვდებოდა მას.

გლეხს შიშის ზარი დასცა მისმა დანახვამ და გაქცევა დააპირა.

— ნუ გეშინია, ძმობილო, უთხრა მას ალერსიანათ გო- ლიათმა: მე ღარიბ და დაჩაგრულ ხალხის მეგობარი, ამირანი ვარ.

გლეხი მიუახლოვდა. ამირანმა ამოილო იმის აბგიდან პუ- რი და მოუჭირა თავისი მძლავრი ხელი. პურიდან სისხლი და ოფლი გამოიწურა.

\* ) უზარ-მაზარი ადამიანები, ანუ გოლიათები. ბერძნების გარდმო- ცემით, გონებითა და ტანით უზარმაზარმა ძმებმა მთები მთებზე დაწყეს, რომ მიეღწიათ ღმერთამდე, მაგრამ ზევსმა (ყველა ღმერთების უფროსი, მამა ღმერთი) ეს მთები ჰექა-ჟუბილით განგმირა და ჯოჯოზეთში ჩანთქა.

## მიჯაჭვული ამირანი

— ამ პურს როგორა ჭამთ, საბრალოებო?!

— მაშ შენ როგორ პურსა სჭამ? დაეკითხა გლეხი გაკვირვებით.

— აი როგორსაო, მიუვი ამირანმა, მოუჭირა ხელი თავის პურს და რძე გამოადინა.

— მე რომ განვთავისუფლდებოდე, აღარავინ ქვეყნად სისხლ ნარევ პურს აღარა სჭამდა! უთხრა იმან.

— მე გაგანთავისუფლებო, შესძახა სიხარულით გლეხმა. ამირანმა მიუთითა ხმალზე და სოხოვა მიეწოდებინა; მაგრამ გლეხმა მძიმე ხმალი ვერც დაძრა.

ამირანმა უთხრა, ქამარი მოება ხმლისთვის და მიეწოდებინა იმის წვერი. მაგრამ ქამარმა ვერ გაუძლო სიმძიმეს და გასწყდა.

— მაშ გაიქე შინ და თუ გაქვს ჯაჭვები მოიტანე, მაგრამ იცოდე, ჩუმათ, საიდუმლოთ, ისე, რომ ხმა არავის გასცეო, უთხრა ამირანმა.

გლეხი გაფრინდა შინისაკენ გოლიათის თხოვნის ასასრულებლათ. ჩამოილო ჯაჭვი, გაღაიგდო მხარზე და ის იყო საჩქაროთ გამობრუნდა, რომ უცებ ეშმაკათ კარებში შეეფეთა ცოლი, რომელმაც სტაცა ხელი და ჯაჭვს არ ანებებდა. საწყალი გლეხი ცოლს ხმა ამოუღებლათ, მუნჯივით შეებრძოლა და კარზე იწევდა. ქმრის სიჩუმე დედაკაცმა დაცინვათ მიიღო, გაკაპასებული ქორივით ეცა და დასჭირდა:

— შე უბედურო, ეგ ერთი ჯაჭვი-და შეერჩენია ოჯახში, სხვა ყველაფერი მთავრობის მოხელეებმა დაიტაცეს ბეგარაში და ამ ერთად-ერთ იარაღიდანაც ხელცარიელი რჩები?


— რა ჭირივით გადამეკიდე, ადამიანო! აღარ მომშორდები თავიდან? შეჰყვირა და ხელი ჰკრა ქმარმა ცოლს.

მირბის გლეხი, კი არ მირბის, — მიფრინავს, სული ყელში ამოსდის. მიირბინა ციცაბო კლდესთან, მაგრამ სადღაა გოლიათი! მთა გადაეფარა მას, როცა გლეხმა სიჩუმე დაარღვია და აღთქმა გასტეხა. დარჩა ხალხი ისევ სისხლ ნარევ თავლით მოპოებული პურის ამარა. გმირთა-გმირი კი, კეთილმოწყალე, თავისუფლებისა და რძიან პურის აღმთქმელი, კვერცხს და იტანჯება კლდის ჯურლმულში. სული უწუხს და

იხრჩობა უჭაეროთ და უსინათლოთ. როდესაც ყაზბეგის მთი-  
 ლან ძირს, დარიალის ხეობაში, გამანადგურებელი ზვავი ეშვე-  
 ბა,—ეს ნიშნავს იმას, რომ ამირანი იწევს, რომ გაგლიჯოს  
 ჯაჭვი მონობისა, ბორკილი ტყვეობისა. მგზავრსა ჰეონია, რომ  
 თერგი ღრიალებს და ზღვირთებს ზღვირთებზე ციცაბო კლდე-  
 ებს ახეთქებსო, და თუ დაუკირდება და ყურს დაუგდებს,  
 კლდის ქვეშ თითქო გოლიათი ღრიალებს, ქშინავს და ჰემი-  
 ნავს და მას, მარტოკას, მძლავრს, ამაყსა და შეუპოვარს, მაგ-  
 რად უჭირავს ამ უზარ-მაზარი მთების სიმძიმე და უძლებს მას,  
 თუმცა ის თავს დასწოლია საშინელის სიმძიმით.

სიკვდილი ამირანს დაკვეთილი აქვს, ხოლო თავისუფ-  
 ლება ეღირსება მაშინ, როდესაც პურს ქლიავი მოისხამს და  
 ქრეს—ასკილი.

თ. კანდელაკი.



# მსოფლიო ისტორია.

ერნესტ ლავისისა

წიგნი III

ახალი დროება

თავი VI

ევროპის კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ.

129. დუდოვიკ XIV-ის გამარჯვებასთან და დაშერჩბასთან. — 1. ვესტ-ფალიის და პირენეს ზავების შემდეგ საფრანგეთი უძლიერესი სახელმწიფო შეიქმნა ევროპაში. მისმა ძლიერებამ შეაშფოთა ევროპა და დუდოვიკ XIV-ები უველა ხელმწიფები გადაიძინა.

2. ლუდოვიკ XIII ჯერ ესპანიას დაეცა და წაართვა ბელგიის ერთი ნაწილი, რომელსაც ახლა ჩრდილოეთის დეპარტამენტი ჰქვიან (ექს-ლა-შაპელის ზავი, 1668 წ.).

3. შერე დაეცა ჰუნდინდას. ახლა კი ესპანიის მეფე, კეი-სარი და სხვა ხელმწიფები შეკავშირდნენ და წინააღმდეგნენ. მაგრამ ლუდოვიკ XIII-ემ მაინც გაიმარჯვა და მოიგო ფრანშ-ჟანტე (ნიმეგენის ტრაქტატი 1678 წ.).

4. ლუდოვიკ XIII-ეს ეგონა წინააღმდეგობას ვერავინ-ლა გამიწევსო და მშვიდობასთან დროს შემოუერთა საფრანგეთს სხვისი ქალაქები და მიწა-წყლები. 5. ამ დროს იყო, რომ ლუდოვიკ XIII-ემ დაიჭირა სტრასბურგის ქალაქი (1687 წ.). 6. ამ ომებმა დაასუსტა საფრანგეთი. ამას გარდა ნანტის ედიქტის გაუქმებამ\*) (1685 წ.) მრავალი ხალხი და სიმდიდრე მოაკლო.

\*) ნანტის ედიქტით საფრანგეთის პროტესტანტებს შეეძლოთ თავიანთ სჯულზედ თავისუფლად ეცხოვათ. ლუდოვიკ XIII-ემ გააუქმა ეს ედიქტი. პროტესტანტებს წაერთვათ რწმენის თავისუფლება და მრავალი მათგანი, —ხელოსანი და შეძლებული ქაცი, —გაიხიზნა საფრანგეთიდან.

130. კოალიციები დუდოგიც XIV-ის წინააღმდეგ. 7. ყველა ევროპის ხელმწიფებს ლუდოვიკ XIV-ის ჯავრი სჭირდა, მაგრამ არც ერთს შესწევდა ლონე მარტო გამკლავებოდა.

8. უილიამ ორანელმა, ინგლისში რომ გამეფდა, შეადგინა აუგსბურგის დიგა და ევროპის მოთავედ გახდა ლუდოვიკ XIV-ის წინააღმდეგ. 9. ლუდოვიკ XIV-ემ დაიწყო ომი მით, რომ რეინის ნაპირებზედ ყველა ქალაქები და სოფლები გაანადგურა. 10. ახლაც გამარჯვებული დარჩა ლუდოვიკ XIV, მაგრამ საომრად ფული აღარა ჰქონდა და იძულებული გახდა ზავი ეთხოვა (რეისვიკის ტრაქტატი, 1697 წ.).

11. სამი წლის შემდეგ მოკვდა კარლი II, ესპანიის მეფე, რომელმაც სიკვდილის წინ დაუმჴკიდრა თავისი სამეფო ანუს ჰერცოგს, ლუდოვიკ XIV-ის შვილის-შვილს. 12. თი თქო საფრანგეთი არადროს არა ყოფილა ასეთი ძლიერიო. — მაგრამ ამ დროს ინგლისმა, ჰოლანდიამ და კეისარმა შექმნეს საშიში კოალიცია \*) ლუდოვიკ XIV-ის წინააღმდეგ. 13. საფრანგეთმა თუმცა გაუძლო ამ ომსა და თავი არ შეირცხვინა, მაგრამ მაინც ბედნიერებად უნდა ჩაეთვალა ზავის შეკვრა ინგლისსა, ჰოლანდიას და სხვა მტრებთან უტრეხტსა და რაშტატში (1713—1714 წ.).

14. ამ ზავების ძალით ლუდოვიკ XIV-ის შვილის-შვილი ესპანიის მეფედ დარჩა; ბელგია კეისარს ერგო. 15. საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს რამდენიმე საუკეთესო კოლონია, სხვათა შორის კანადა.

16. მე-XVIII საუკუნეში საფრანგეთი აღარ ბატონობს ევროპაში; ამ დროს შესდგება ორი საშიში სახელმწიფო, რუსეთი და პრუსია და ინგლისი აარსებს დიდს კოლონიურს იმპერიას.

1. როგორ გაუჩნდა მტრები ლუდოვიკ XIV-ეს? — 2. რა წართვა ესპანიას? — 3. რა მოიგო ჰოლანდიაში? — 4. რა ჩაიდინა მშვიდობიანობის დროს? — 5. რომელი ქალაქი შემოუერთა მაშინ საფრანგეთს? —

\*) შეთანხმება რამდენისამე სახელმწიფოსი ერთი რომელისამე სახელმწიფოსთან საომრად.

6. რამ დაასუსტა საფრანგეთი?—7. რატომ ვერ უძლებდნენ ევროპის ხელმწიფები ლუდოვიკ XIV-ებ?—8. რა შეადგინა უილიამ ორანულმა?—9. როგორ დაიწყო ლუდოვიკ XIV-ემ ეს ომი?—10. რითი გათავდა ომი?—11. რა ჰქნა ესპანიის მეფებ?—12. ვინ შექმნა კოალიცია?—13. რა ჰქნა საფრანგეთმა?—14. რა ერგო კეისარს?—15. რა დაუთმო საფრანგეთმა ინგლისს?—16. რომელი ახალი სახელმწიფოები შესდგ მე-XVIII საუკუნეში?

**შინაარსი (ზეპირად სათქმელი).**

I ლუდოვიკ XIV-ებ გადაიმტერა ევროპის უკელა ხელმწიფები, იმიტომ რომ მშვიდობიანობის ღრმას თავს ეცემდა და ართმევდა მიწა-წყალს.

II. უილიამ თონექელმა, ინგლისში რომ გამეოდა, შეაერთა აუგსბურგის ლიგით ევროპის სახელმწიფოები ლუდოვიკ XIV-ის წინააღმდეგ (1689 წ.) და ისე შეავიწროა, რომ ზავი ათხოვნინა (1697 წ.).

III. როცა ლუდოვიკ XIV-ის შეილის-შვალი ესპანიის მეფედ დავდა (1700 წ.), საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კადანიცა შესდგა. რამდენისამე დამარცხების შემდეგ, საფრანგეთი შეპრა მოწინააღმდეგებს უტრეხტის ზავით (1713 წ.).

IV. მაშინ საფრანგეთი დასუსტდა და მისი მეფე გელარ ბატონიბდა ევროპაში.

## თავი VII

### რუსეთის იმპერიის შედეგენა.

131. რუსები.—1. რუსები თუმცა ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ არ ემორჩილებოდნენ პაპს. 2. ემორჩილებოდნენ მხოლოდ თავიანთ ფარს (მეფეს), რომელიც მათი კეისარიც იყო და ჰაშვიც.

3. მეფეს ჰყავნდა მრავალი მილიონი ყმა და ეპურა ვეება საბანებელი, რადგან 1581 წლიდან მთელი ციმბირი იმის ხელში იყო. 4. მაგრამ მეფე სცხოვრებდა მოსკოვს, რუსეთის შუა-გულში; არა ჰქონდა ნაეთსადგურები და მისი უმები ღარიბნი და გაუნათლებელნი იყვნენ.



132. პეტრე დიდი.—5. მეფე პეტრე დიდი (1682—1725 წ.) მხნე კაცი იყო. 6. იმას უნდოდა, რომ რუსები ევროპულებს დამსგავსებოდნენ. 7. წავიდა საზღვარ-გარეთ ცოდნის შესაძენად და ჰოლანდიაში ერთს მენავესთან დურგლად შედგა, რომ ნავის შენება ესწავლა. 8. მერე წამოიყვანა რუსეთს ევროპელი მენავეები, ინუნერები და ხელოსნები, რომელთაც რუსებისათვის თავიანთი ხელობა უნდა ესწავლებინათ.

9. პეტრემ ძალად შემოაღებინა რუსებს ევროპული ტანისმოსი, აუკრძალა გძელი ხალათების ჩაცმა და წვერ-ულვაში მოაპარსვინა. 10. სალდათები რომ აუჯანყდნენ, პეტრემ თავის ჩელით დასჭრა თავები. 11. ცოლ-შვილმა რომ ურჩობა დაუწყო, შვილი მოაკვლევინა და ცოლი გაამათრახებინა. 12. პეტრეზე ამბობდნენ, ნახევარი გმირია, ნახევარი ვეფხიო.

133. გამარჯვება შევდებზედ.—13. იმ დროს ბალტის ზღვის გარშემო მდებარე ქვეუნები შვედებს ეჭირათ. 14. პეტრეს უნდოდა ეს ქვეუნები დაეცყრა, რომ ნავთსადგურები ჰქონიდა და ამიტომ აუტეხა ომი შვედებს.

15. შვეციის მეფე, კარლო XII, დიდი ლაშქარო-მთავარი იყო; ამან დაამარცხა რუსები 1700 წ. 16. მაგრამ სანამ კარლო XII პოლონეთს ეომებოდა, პეტრემ დააარსა ბალტიის ზღვის ახლო ახალი ქალაქი სანქტ პეტერბურგი, რომელიც რუსეთის ტახტის ქალაქად გახადა. 17. ბოლოს, კარლო XII მაინც შემოესია რუსეთს 1709 წ., მაგრამ მისი ლაშქარი იძლია და დატყვევდა.

18. პეტრემ დაიპყრა ბალტიის ზღვის ქვეუნები (1721 წ.).

1. რა სარწმუნოებისა იყვნენ რუსები?—2. რა უფლება ჰქონდა მათს მეფეს?—3. რა ეპყრა მეფეს?—4. რა მდგომარეობაში იყო რუსეთი?—5. რა ხასიათისა იყო პეტრე დიდი?—6. რა უნდოდა?—7. რის-თვის წავიდა ჰოლანდიას?—8. ვინ წამოიყვანა რუსეთს?—9. რა აიძულა რუსებს?—10. რა უყო აჯანყებულს სალდათებს?—11. რა უყო ცოლ-შვილს?—12. რას ამბობდნენ პეტრეზე?—13. რა ეჭირათ მაზინ შვედებს?—14. რა ჰქნა პეტრემ და რისთვის?—15. რა ჰქნა კარლო XII?—16. რა დააარსა პეტრემ?—17. რა დაემართა კარლო XII ეს?—18. რა დაიპყრა პეტრემ?

134. გამარჯვება ოსმალებზე. — 1. ორი საუკუნე იყო, რაც ოსმალები ადმინისტრაციაში პატონობდნენ. 2. 1683 წ. ოსმალოს ჯარი კვლავ შემოესია ავსტრიას და გარშემოქრევა გენას. 3. მაგრამ რაღაც ხონთქრებს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდათ და ჯარი მუდამ უჯანყდებოდათ, ამიტომ ოსმალეთს მალე მოაკლდა უწინდელი ძალა. 4. 1718 წ. ავსტრიელებმა განდევნეს ოსმალები უნგრეთიდან.

5. რუსეთის იმპერატრიცამ, ეკატერინე II-ებ (1762—1796 წ.) მრავალი მიწა-წყალი წაართვა ოსმალეთს და მით გაავრცელა რუსეთი. 6. მისმა სარდლებმა დაუწვეს ოსმალებს ფლოტი (1770 წ.) და ორს ომში (1774 და 1792 წ.) დაიპყრეს ყირიმი და შავი ზღვის პირს მდებარე ქვეყნები წნესტრამდე.

135. პოლონეთის გაფორმება. — 7. პოლონეთი იმ დროს დიდი ქვეყანა იყო, მაგრამ მართველობა არ უვარებოდა. 8. გლეხები დამონებულნი იყვნენ. თავად-აზნაურობა, სულ მეომრები, იქრიბებოლდნენ ცხენით მინდორში მეფის ასარჩევად და სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად; მაგრამ ვინც უმრავლესობის დადგენილების თანახმა არ იყო, წავიდოდა თავისთვის და მისი ძალის დამტანებელი არავინ იყო, რომ დაემორჩილებინათ. 9. ესრედ, თუმცა პოლონელები ძალიან გულადნი იყვნენ, პოლონელი ერი მაინც სუსტი იყო დაყოფისა და უთანხმობის გამო.

10. პოლონეთის მეზობლებმა ხელთ იგდეს ასეთი შემთხვევა. რუსეთის იმპერატრიცა, პრუსიის მეფე და ავსტრიის იმპერატრიცა შეითქმნენ, 1772 წ., წაერთმიათ პოლონეთისათვის თითოს ერთი ნაკერი. 11. რუსეთის იმპერატრიცას ყველაზედ დიდი ნაკერი ერგო. 12. ამ ხელმწიფებმა კვლავაც მიჰყვეს ხელი გაყოფას 1793 და 1795 წ., სანამ მთელი პოლონეთი არ დაიჭირეს. 13. პოლონელებმა სცადეს წინააღმდეგობა, მაგრამ შემოესია რუსეთის და პრუსიის ჯარი პოლონეთის და დაიმორჩილეს. 14. ნაშვილი აკაზაკთა მოხდა.

15. მას აქეთ რუსეთი ევროპაში ყველაზედ ვრცელი ქვეყანა გახდა.

1. ვინ იყვნენ ოსმალები ორი საუკუნის განმავლობაში?—2. რა ჰქონდა 1683 წ.?—3. რად დასუსტდნენ ოსმალები?—4. რა უცვეს ავსტ-როილებმა?—5. რა ჰქია ეკატერინემ?—6. რა წართვა ოსმალებს?—7. რა იყო პოლონეთი?—8. რა მდგომარეობაში იყვნენ გლეხობა და თავად-აზნაურობა?—9. რად იყო სუსტი პოლონეთი?—10. რა უცვეს შეზობლებმა?—11. ვის ერგო ყველაზედ დიდი ნაჭერი?—12. როდის მოხდა კიდევ პოლონეთის გაყოფა?—13. როგორ დაიმორჩილეს პოლონელები?—14. რა უნდა დაერქვას მაგ გაყოფა?—15. როგორი გახდა რუსთი მასაქეთ?

### შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I. რუსეთი მე-XVII საუკუნეში ვრცელი ქვეყნა იყო, მაგრამ დარიბი, გაუნათლებელი და ნახევარ-აზიურის ხალხით იყო დასხულებული.

II. რუსეთის მეფე პეტრე დიდმა (1682—1725 წ.) და იწყო რუსების განათლება და გვრცელების ზნე-ზეგულება მიაღებინა.

III. პეტრემ წაართვა შვეციის მეფეს ბალტიის ზღვის პროვინციები (1700—1721 წ.) და დაარსა აქ სანქტ-პეტერბურგი, რომელიც ტახტის-ქალაქად გახსადა.

IV. დასუსტებულის ასმალეთს ეკატერინემ, რუსეთის იმპერატრიცამ (1762—1796 წ.), წაართვა რამდენიმე პროვინცია შავი-ზღვის პირას.

V. შინუალის შედღით დასუსტებული პოლონეთი ძალით გა-იშეს რუსეთში, მრუსიამა და ავსტრიამ. გაუდოგ სამჯერ მოხდა (1772, 1793 და 1795 წ.).

VI. ესრულ რუსეთი ქვეყნის ერთი უძღიერესთა სახელმწიფო-თა განი გახდა.

აღ. სარაჯიშვილი.

